ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

ყოველი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

14 VI 1991

21 (26)



ისიც ვიცით, თუ რატომ შევედით იმ პარტიაში, რომლის იდეალები ბოლო 70 წლის მანძილზე საქართველოში აღარ არსებულა — საყველპუროდ, ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად, საზღვარგარეთ წასვლის უფლებისათვის, მეცნიერების სამსახურისთვის, განყოფილების უფროსის თანამდებობისათვის, რედაქტორობისათვის, წევრ-კორობისათვის, წინ რომ არავის გადაერბინა, ღვთით ნაბოძები ტალანტი ორღობეში რომ არ ჩამკვდარიყო, ყოველშემთხვევისათვის და სხვა.

**კომუნისტი, კონფორმისტი, თუ...?**

მე-2 გვ.

თუ ბატონ გორბაჩოვს კვლავაც შერჩენილი აქვს მთელი თავისი სამფლობელოების შენარჩუნების სურვილი, ეს მხოლოდ და მხოლოდ ტანკებით შეიძლება განხორციელდეს.

**იმპერიის უკანასკნელი ხელმწიფე**

მე-3 გვ.

მადნები თავის სპილენძ-ოქრო-ვერცხლიანად დღესაც გადის ჩვენი რესპუბლიკიდან. გვეკარგება ძვირფასი ლითონის ის რაოდენობა, რაც სრულიად საკმარისია ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

**ოქრო... ვერცხლი... პლატინა....**

მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი, კონფორმისტი, თუ..?

**საკითხი,** რომელსაც ქვემოთ შევეხებით, მეტად საჩოთირო, უხერხულიც კი შეიძლება იყოს. წელიწახევრის წინ რამდენიმე ცენტრალურმა ქართულმა გაზეთმა, სამწუხაროდ, „ვერ გამოაქვეყნა“ ამ თემას მიძღვნილი ჩვენი სტატია, რომელიც წარმოადგენდა ცდას ფსიქოლოგიურად გაეხსნა და კლასიფიკაცია მოეხდინა უაღრესად მწვავე მოვლენისა, რომელიც დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართული ფსიქიკისთვის, ავეჯის მღრღნელი ჭიასავით არის შემორჩენილი ყველა ჩვენგანის ცნობიერებაში და გაუთავებელი ეჭვებისა და უნდობლობის მომენტი შემოაქვს საზოგადოებაში.

საქმე ეხება კომუნისტური პარტიის წევრობასა და წევრობიდან გამოსვლის რიტუალის ეთიკურ ასპექტებს.

ვინაიდან ქართულ პერიოდიკაში არცთუ იშვიათად ქვეყნდება საზოგადოებისათვის ცნობილ პიროვნებათა კომუნისტური პარტიის წევრობიდან გამოსასვლელი ეპიტაფიები, ინტერვიუები, და ეს მათთვის არავითარ უხერხულობას არ ქმნის, ჩვენც შევეცდებით დავუბრუნდეთ მიტოვებულ თემას. მიგვაჩნია, რომ მოსანანიებელი წერილების ავტორები სარგებლობენ რა ამ თემაზე პუბლიცისტური ვაკუუმით, სარეკლამო ელფერსაც კი აძლევენ „მარქსისტულ იდეოლოგიასთან“ გამოთხოვების ცერემონიალს, საზეიმო ვითარებაში სურთ ჩამოვიდნენ კვარცხლბეკიდან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხალხმა, რომელთაც გვარიანად ისარგებლეს რა კომპარტიაში ყოფნით (ღმერთმა შეარგოთ) ახლა გამოსვლითაც სურთ, რომ ისარგებლონ. ამას მოწმობს მათი პარტიაში შესვლისა თუ გამოსვლის არგუმენტაცია, რაც გათვლილია მხოლოდ ორმოცდაათიანი წლების შემდეგ დაბადებული საზოგადოების მეხსიერებადაქვეითებული ნაწილისათვის.

არ მჯერა, რომ ასეთი „მონანიება“ სათანადო ინდულგენციად გამოდგეს ჩვენი ყოფილი „ამხანაგებისათვის“, ვინაიდან მთელი თაობებისათვის წლების მანძილზე პარტიულობის საკითხი უაღრესად მწვავე და ამავე დროს იდუმალი ფსიქოლოგიური ტრავმის საფუძველი იყო. სანამ ეს თაობები იარსებებენ, მახსოვრობას ვერ წაუშლი და ვერც შეასუსტებ. სჭირდება კი ასეთი „მონანიება“ საზოგადოებას? არა მგონია. არც არავინ სთხოვს ამას. დადგნენ ყველას გვერდით და აკეთონ საერთო საქმე. თუ მაინცდამაინც სინდისი ქენჯნით, ბოლომდე თქვან სიმართლე, ოღონდ სულ ბოლომდე. მხოლოდ ასე შედგება მონანიებაც და, რასაკვირველია, შენდობაც საჯაროდ.

ახლა კი, სხვა მიმბაძველიც რომ წინასწარ ავარიდოთ ანალოგიურ საქვეყნო „აღსარებას“, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ საზოგადოებრივი ქცევის დინამიკის სქემა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში.

არავისთვის არ არის ახალი, რომ რუსეთის მიერ საქართველოს მეორე ანექსიის შემდეგ დღემდე საზოგადოება ორ ჯგუფად გაიყო: კომუნისტებად და დანარჩენებად. მათ შუა გადიოდა ფსიქოლოგიური ბარიერი, ხოლო ზედა ეშელონი ფიზიკურადაც კი იზოლირებული იყო გარე სამყაროსგან.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, თუ ვის რა როლი ჰქონდა დაკისრებული ბარიერის ორივე მხარეს და როგორ იცვლებოდა ეს ურთიერთობები დროში.

1921 წლის 25 თებერვლიდან 1956 წლის 9 მარტამდე საქართველოში პარტიის რიგებში შესვლა მიზნობრივად ან, ცოტა მოგვიანებით, გულუბრყვილობით (რწმენით) ხდებოდა. იმისდამიუხედავად, რწმენით იყო განპირობებული პარტიაში გაწევრიანება თუ კარიერისტული მიზნებით, ბარიერის იქითა საზოგადოება, ანუ პარტოკრატია თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, თვითდამკვიდრების სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა:

— ზოგი მოძმეთა ხოცვა-ჟლეტით იყო დასაქმებული;

— ზოგი თითს იქნევდა;

— ზოგი ქანდარაზე შემომჯდარი ჭკუას ისწავლებოდა და თან ზევით იყურებოდა, მიცქერენ თუ არა;

— უმეტესობას კი თვითგადარჩენის მიზნით, მანდატი, აუთვისებელი სერტიფიკატივით, ჯიბეში ჩადო და ჩუმი მორჩილებით იხდიდა თავის ხარკს.

— ბარიერის აქეთა ხალხი კი, იმავე პერიოდში, ზოგი აშკარად ემტერებოდა კომუნისტებს, ზოგი თაკილობდა მათთან თანამშრომლობას, ზოგი ვერც ერთს ბედავდა, ვერც მეორეს.

—იყვნენ ისეთებიც, ვინც ან არ შედიოდა ან არ ღებულობდნენ პარტიაში. ამ ხალხში ბევრი იყო ისეთიც, ვინც საზოგადოებაში თავის კუთვნილ ადგილზე და ასე გასინჯეთ, პროფესიული სიმაღლისათვის შესაფერის პოსტზე უარის თქმით დაძლია ის პიროვნული ფსიქოლოგიური წინააღმდეგობა, რასაც კომპრომისზე წასვლა ეწოდება. ასე ყალიბდებოდა „თავისუფალ მოქალაქეთა კასტა“.

1956 წლის 9 მარტიდან 1989 წლის 9 აპრილამდე პერიოდში საქართველოში გულუბრყვილობით (რწმენით) პარტიაში თითქმის აღარავინ შესულა. იგივე პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე:

— ზოგი თითს იქნევდა;

— ზოგი ჭკუას ისწავლებოდა;

— თვითგადარჩენის ინსტიქტი გამორჩეულობისა თუ, უფრო სწორად, მატერიალური თვითგამორჩენის პრინციპით შეიცვალა, თუმცა ეს კატეგორია ზოგჯერ იდეოლოგიის „მოკრძალებული“ კრიტიკით იმართლებდა თავს;

— პარტიული მანდატების მეშვეობით გარკვეული უფლების მოპოვების მსურველთა რიცხვი, სამწუხაროდ არ შემცირებულა და მრავალმა კეთილშობილმა, ძლიერმა და ნიჭიერმა პიროვნებამ ვერ გაუძლო ამ ცდუნებას. ამით თითქოს და ბევრი არაფერი გაუფუჭებიათ, მაგრამ ეს მოქმედება სხვისათვის ცუდი მაგალითი იყო; (ეს კატეგორია ყველაზე საინტერესოა ჩვენთვის და გამადიდებელი შუშით დავაკვირდებით).

— ბარიერს აქეთ მყოფ უმრავლესობაში კი არაფერი იცვლებოდა.

სიტყვისუფლებაწართმეული „თავისუფალ მოქალაქეთა კასტა“ უდრტვინველად ასრულებდა „ნაკისრ ვალდებულებებს“.

1989 წლის 9 აპრილიდან დღემდე პერიოდი. კატასტროფულად ეცემა მსოფლიოში მარქსიზმის რეიტინგი. პარტიული ფუნქციონერის ბირჟაზე ციებ-ცხელება იწყება. ეროვნულ მოძრაობას რეალური აზრი ენიჭება. პატრიოტიზმის აქციები დღითიდღე მატულობს. ბარიერს აქეთა საზოგადოება გუმბანზე გამოეფინა და ბარიერების მოშლა დაიწყო. ცხელ გულზე ბევრი მანდატი-სერტიფიკატი დაიწვა და დაიხა. ოდნავ დაგვიანებული იყო, მაგრამ ბევრში მაინც სასიამოვნო შეგრძნება გააჩინა, ალბათ, კომპრომისზე უარის თქმით თავისუფლების აღდგენამ. უპარტიოთა — „თავისუფალ მოქალაქეთა კასტის“ ავტორიტეტმა იმატა.

რიგითი პარტიული ინტელიგენტების უდიდესი მასა სულით და ხორცით, ცოტა შიშნაკრავად, მაგრამ მაინც მთლიანად გადაიხარა ეროვნული თვითგამორკვევის პოზიციისაკენ.

მანდატის სტატუსთან მათი დამოკიდებულება ინერტული იყო, ვინაიდან, „აუტოდაფე“-ს მოწყობა იმ დოკუმენტისთვის, რომლის მიმართაც არავითარი წმინდა გრძნობები არ გაგაჩნდა და გარშემო მყოფთათვის ეს ცნობილია, ცოტა არ იყოს უხერხულ, უაზრო პოზად შეიძლებოდა წარმოჩენილიყო. ამიტომ ისინი დღესაც თავშეკავების პოზიციას ამჯობინებენ და შეძლებისდაგვარად ცდილობენ საქმით დაამტკიცონ თავისი ნამდვილი პოზიცია. თუმცა, ბევრმა მათგანმა ხმაურის გარეშე მიატოვა კომპარტია.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ საეჭვოა იმ პირების მოქმედება, რომელნიც წითელ მანდატთან გამოთხოვების რიტუალს საჯარო აფიშირებას უკეთებენ და ჰგონიათ, რომ ეს რეპუტაციის რეანიმაციისათვის გამოადგებათ. საეჭვო კი იმიტომ არის, რომ სიტუაცია სხვანაირად რომ განვითარებულიყო (ვინ იცის, „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპით), ოდნავ შეწითლებული პატრონის რა ბრძანებას შეასრულებდნენ კიდევ.

ამის შემყურე და ყველაფერში კარგად გარკვეულმა საზოგადოებამ კიდევ ტაში უნდა დაუკრას მათ პოლიტიკურ „განქორწინებას“? მგონია, არა. ბოლომდე სათქმელი კი ბევრი გვაქვს. პატიების სიხარულითაც უნდა გავიხაროთ და არც ცხოვრებისეული შეცდომით გამოწვეული სხვისი სინანული შევიმჩნიოთ. ეს ასეა, მაგრამ თუ ყველაფერი ბოლომდე არ სთქვი, „მონანიება“ არასრულყოფილი გამოდის. ჩვენის აზრით, ეს ის შემთხვევაა, როცა „თქმა სჯობს არათქმასა“, ვინაიდან უთქმელობა ისევ ჩვენსავე კისერზე გადადის.

მაშ ასე. მოგახსენებთ, თუ რა ვიცით ჩვენ თქვენს შესახებ და რის შესახებაც აქამდე გაჩუმებულნი ვიყავით.

უპირველეს ყოვლისა ვიცით, რომ კომუნისტურ პარტიაში ძალდატანებით არ ხდებოდა შესვლა, მით უმეტეს ინტელიგენციის. წითლებს იქ მკაცრი ლიმიტები ჰქონდათ დაწესებული. ამ საკომპრომისო ხაფანგში შენი ფეხით უნდა შესულიყავი და ამ დროს ბედნიერი გამომეტყველებაც უნდა გქონოდა ზრდადასრულებულს და თან უნდა გეთქვა, რომ კომუნიზმის აშენებაში უფრო აქტიური მონაწილეობის მიღება გსურდა. ხომ ასე იყო?

ვინაიდან **რწმენის ინსპირირება საუკეთესო საშუალებაა ქვეცნობიერების ან ნამდვილი მიზნების დასამალად,** ერთადერთი გამართლება იქნება ამტკიცოთ, რომ მჟავანაძის, შევარდნაძის, პატიაშვილისა და გუმბარიძის საქართველოში გჯეროდათ კომუნიზმის იდეალების. ამის დაჯერება კი შეიძლება მხოლოდ თქვენს გონებრივ შესაძლებლობებში დაეჭვების ხარჯზე, რასაც ჩვენ არ ვიკადრებთ.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ პარტიაში მისაღები განცხადების ბლანკები შეღავათიან ფასებში შეიძლებოდა გეშოვა ნაცნობობით. ხომ იყო ასე? არც ამას ვიკადრებთ, რომ ასეთი რამ დაგწამოთ.

ნუ გაგვხდით იძულებულს გითხრათ. რომ ისიც ვიცით თუ რატომ შეხვედით იმ პარტიაში, რომლის იდეალები ბოლო 35 წლის მანძილზე საქართველოში აღარ არსებულა, საყველპუროდ, ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად, საზღვარგარეთ წასვლის უფლებისათვის, მეცნიერების სამსახურისათვის, განყოფილების უფროსის თანამდებობისათვის, რედაქტორობისათვის, წევრ-კორობისათვის, წინ რომ არავის გადაერბინა, ღვთით ნაბოძები ტალანტი ოროლობეში რომ არ ჩამკვდარიყო, ყოველშემთხვევისათვის და სხვა.

მე მგონი, არავინ არ გთხოვთ ამაზე პასუხს ან თუნდაც ვინ გსაყვედურობთ? ვიცით, რომ ეს არის ჩვეულებრივი ადამიანური თვითგადარჩენის ინსტიქტი რუსული კომუნისტური იმპერიალიზმის პირობებში.

ჩვენ ისიც კი ვიცით, რომ თქვენ კომუნისტებიც არა ბრძანდებით. სრულიად დაუმსახურებლად გაბრალებენ და გკიდებენ იმ იარლიყს არაკომუნისტები, არაფორმალები, ნაციონალისტები და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა გარეშე მტერი.

ყველაზე უკეთ თქვენ თვითონვე უწყით, რომ არავითარი საერთო არა გაქვთ არც კომუნიზმთან და არც სოციალიზმთან. პრეზიდენტის არჩევნების წინ გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე ერთი ავტორი ნუთუ სერიოზულად წინასწარმეტყველებდა საქართველოში მარქსიზმის აღორძინების საფრთხეზე?!

პირადად მე საქართველოში არ შემინიშნავს კომუნიზმის მშენებარი არც ერთი ქართველი. ასე გასინჯეთ, სტალინის პერიოდშიც კი. ეს იდეა ყოველთვის იყო ქართულ ცნობიერებაში ჩუმად გამასხარავებული და აგდებული. ეს იყო მხოლოდ კონფორმიზმის ცინიკური დროშა უკლებლივ ყველა საფეხურზე. პარტიული თუ კომკავშირული აქტივისტების გარეგნულად სერიოზული, „საქმიანი“ ფუსფუსი ყოველთვის იწვევდა ანტიპათიურ განწყობილებას საზოგადოების უმრავლესობაში. სტალინის პერიოდშიც უმრავლესობას გვრცხვენოდა კომკავშირის ნიშნის ტარება და პიონერის ყელსაბამის გაკეთებასაც ვთაკილობდით განსხვავებით რუსულ სკოლაში მოსწავლე ქართველებისაგან.

მგონი საბოლოოდ გავამჟღავნეთ ჩვენი აზრი თქვენზე. თქვენ ბრძანდებით ოფიციალური კონფორმისტები. მაგრამ ამაზე გული არ უნდა დაგწყდეთ, ვინაიდან კონფორმიზმს, შემგუებლობასა თუ კონიუნქტურიზმს არაკომუნისტებშიც მრავლად ვხვდებით, ოღონდ შეფარულს, მათ ამ თვისების დამადასტურებელი საბუთები არ ედოთ ჯიბეში. „ნამდვილი კომუნისტობა“ კი დემაგოგიური მარაზმია. თქვენ ხომ არა ხართ ასეთები? ხომ ხედავთ, საშველი არსებობს.

კომუნიზმის იდეა ყველგან მხოლოდ ნაკელის ფუნქციას ასრულებდა კონფორმისტებისათვის, გარდა რუსეთისა, სადაც მას რეალური პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

როდესაც საჯაროდ უარს ამბობთ კომუნისტობაზე, ამით თითქოს გვიმტკიცებთ, რომ ოდესღაც მართლა ფიქრობდით სამშობლოს სოციალურ წინსვლაზე და იმიტომ დაწინაურდით. დიახ, დაწინაურდით, ან ფიქრობდით დაწინაურებაზე, სულერთია, ფაქტია. მაგრამ, ნუთუ გჯეროდათ, რომ ჩვენ, ჩუმად მყოფნი, თქვენ, როგორც კომუნიზმის მშენებელს, ისე გიყურებდით? ეს უკვე მეტისმეტია.

გარწმუნებთ, რომ ყოველთვის გიყურებდით ზუსტად ისე, როგორც ამას იმსახურებდით. ამიტომ სჯობდა ჩუმად გასულიყავით კონფორმისტული პარტიიდან, დაფდაფების გარეშე. მე რომ მკითხო, (თუკი ამ თემაზე ღირს დაფიქრება), სჯობია ყოველგვარი განცხადების გარეშე აორთქლდე ამ დრომოჭმული უაზრობიდან. განცხადების დაწერა აბსურდია. **როგორ უნდა განაცხადო უარი იმაზე, რაც არ ყოფილა,** და თან იამაყო ამით! კომპრომისზე კი უარის თქმა განცხადების გარეშეც შეიძლება. როგორ ავიღოთ ხელი კონფორმიზმზე? „საკითხავი აი ეს არის“, კონფორმიზმმა წაგვიყვანა კომპრომისზე და კომუნიზმის მაგივრად მიგვიყვანა კონტრაბანდამდე — რუსულ, ახალ იმპერიალისტურ იდეოლოგიურ კონტრაბანდაში უნებლიე მონაწილეობამდე. „ასეა ეს“.

ახლა თუ მართლა საჯარო მონანიება ინებეთ, უნდა აღიაროთ, რომ კონფორმისტული მიზნებით შეხვედით პარტიაში და „გახდით ღვიძლი ძმანი“! და მეტი არაფერი. ხომ ხედავთ რა ადვილი ყოფილა და „არც დიდი ხნის ფიქრი სჭირდება“, ფაქტობრივად, აღიაროთ ის, რაც ყველამ ძალიან კარგად ვიცით და უხერხული იყო გვეთქვა თქვენთვის. ჩვენ ისიც გვესმის, რომ თქვენის მხრიდანაც უხერხულია ამის აღიარება, მაგრამ სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს.

ახლა, იმასაც მოგახსენებთ, თუ რა ზიანი მოგიტანათ ყოველივე ამან, უპირველეს ყოვლისა, თქვენ და შემდეგ ჩვენ ყველას, ვინაიდან ვფიქრობ, ბოლომდე არ გექნებათ ეს გააზრებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ან არ შეხვიდოდით, ან ადრე გახვიდოდით პარტიიდან.

„თუ წესიერი ხალხი პარტიაში არ შევიდა, კომუნისტები ქვეყანას დაღუპავენო“. მშვენიერი გასამართლებელი ფორმულა არსებობდა ერთ დროს. - ჰოდა, „სამშობლოს გადასარჩენად“ მრავალნი წავიდნენ კომპრომისზე თავის სინდისთან. რას იზამ, როცა მშობლიურ ქვეყანას უჭირს, ყველაფერი დასაშვებია.

ესე რომ გვეფიქრა, ეს აქცია გმირობის ტოლფასად უნდა ჩაგვეთვალა — მათ „ტროას ცხენის“ როლი უნდა შეესრულებინათ „მტრის პარტიაში“.

რა შედეგთან მიგვიყვანა ასეთმა „თავგანწირვამ?“ გაპარტიულებულმა წესიერებმა, რასაკვირველია, „ფერი“ არ იცვალეს, მაგრამ რაც შეეხება „ზნეს“— გვარიანად. **„ტროას ცხენმა“ გააკეთა „ხვლა ცხენით“** და ჩვენი „თავგანწირული“ მხედარი კომუნისტური პარტიის ნაცვლად აღმოჩნდა კონფორმისტულ „ცუნგ-ცვანგში“, როდესაც ყველა სულას მიყვებარ წაგებისაკენ.

ნუ შევუდგებით გარჩევას, თუ რომელი მდგომარეობა უფრო საშიშია საზოგადოებისათვის; კომუნისტური თუ კონფორმისტული, მხოლოდ იმის კონსტანტაცია მოვახდინოთ, რომ კონფორმისტი ქვეყნის გადარჩენის სერიოზული პრეტენზია აღარ უნდა გააჩნდეს. როგორც მუმლი ეხვევა მუხას, ისე ეძებს იგი პოლიტიკურ თაფლს, რომელსაც ეწებება და დანაყრების შემდგომ, შიგ რომ არ ჩაიხრჩოს, თავის პარტიულ დროშის ტარს ეყრდნობა.

ეს თქვენ შეავსეთ „სამშობლოს სამსახურისათვის“ პროფესიონალთა ადგილები მოღვაწეობის ყველა სფეროში.

ეს თქვენ გამოავლინეთ ინტელექტუალური შესაძლებლობების მაქსიმუმი პირმოთნე კეთილწესიერებით.

ეს თქვენ ემსახურებოდით ერთგულად ხალხს, როდესაც „დასაბუთებულად“ და „ნიჭიერებით“ ასრულებდით იმას, რასაც ზემოდან გიბრძანებდნენ. ეს თქვენ იდექით დამნაშავესა და კანონს შუა, მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის, საზოგადოებასა და ხელოვანს შუა, შეგირდსა და პედაგოგს შორის, ავადმყოფსა და მკურნალს შუა, მაყურებელსა და ავტორს შორის, მორწმუნესა და რელიგიას შორის, ხალხსა და მთავრობას შუა.

მოხვედით იმიტომ, რომ პირველისთვის მხარი აგებათ. იქ დარჩით, იმიტომ, რომ საკუთარი თავი გადაგერჩინათ, იმიტომ გამოდიხართ საჯაროდ, რომ ტაში დაგიკრათ სამსახურისათვის?

თქვენ, ალბათ, მართლა ფიქრობთ, რომ საკმარისია მანდატი მოიშოროთ, კომპრომისი უკვალოდ გაქრება.

**კომპრომისი იმის კეთებაა, რისიც არ გჯერა. იმის კეთების შემდეგ კი, რისიც არ გჯერა, ვერასდროს გააკეთებ მას, რისიც გჯერა.**

მონათა ნებაყოფლობითი მონობის შემდეგ იმასაც ვერ გაარკვევ, თუ რისი გჯერა. თვალდახუჭული, ბრმათა მინდობილი, გაურკვეველი ნების აღმსრულებელი, საკუთარს კარგავ.

თქვენ, ალბათ, მართლა ფიქრობთ, რომ თუ არაფერი გაგიკეთებიათ, ყოველ შემთხვევაში, არაფერი გაგიფუჭებიათ **უზნეობაში ყოველდღიური მონაწილეობით.**

თქვენ იყავით მაგალითი საზოგადოების ჩუმი გარყვნისა, ყოველგვარი კომპრომისების დღესასწაულისა. ხალხი თქვენ შემოგყურებდათ და ყველაფერში გბაძავდათ.

ჩვენის აზრით, ეს არის ძირითადი მიზეზი ახალგაზრდობის აშკარა გალიზიანებისა, ნიჰილიზმისა, უპატივცემულობისა ჩვენი და ჩვენი მამების თაობათა მიმართ და თუ გნებავთ, იმ სისასტიკისა, რომელიც დღეს ასე გვაშფოთებს, ურწმუნოებისა, ჩვენი პოტენციური შესაძლებლობებისა და რაც მთავარია, ჩვენი უფლებისა, ვილაპარაკოთ სიმართლე. ეს გამოიხატება იმ უხეშობაში, დაუმორჩილებლობაში თუ უგულვებელყოფაში, რომელსაც ყოველდღიურად ვაწყდებით ახალგაზრდობის მხრიდან ჩვენთვის თითქოს გაუგებარი მიზეზით, რეალურად კი **დამსახურებულად და კანონზომიერად.** უფრო მეტიც: ჩვენ არა გვაქვს **უფლება ვიყოთ მაგალითი ვინმესთვის,** თუმცა ამის ბუნებრივი მოთხოვნილება გვაქვს და პატივისცემას და აღიარებას ვთხოულობთ. „ასეა ეს“. რასაკვირველია, ისიც შეგნებული გვაქვს, რომ „სხვა გზა არ არსებობდა,“ მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი ხომ უნდა დაერქვას, რომ შავი თეთრად არ მოგვაჩვენონ.

იცით, სად არის ამ მოვლენის საწყისი? ოცდაათიანი წლების შუა პერიოდში, როდესაც **წითელი ტარაკნები წითლად გადალებილმა ტარაკნებმა გაანადგურეს.** სწორედ აქ დაიწყო საზოგადოების ფენათა შორის არაკეთილსინდისიერი კონკურენცია გადარჩენისათვის. ყბადაღებულ ოცდაჩვიდმეტში კომუნისტებმა კონფორმისტების ჩუმი თანხმობით გადამწყვეტი ბრძოლა მოუგეს „მეოცნებეებს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ ბინძურ ომში მათ „თავისუფალ მოქალაქეთა კასტის“ საუკეთესონი წააკლეს.

აქედან მოკიდებული გრძელდებოდა ეს პროცესი დღემდე.

სიტყვამ მოიტანა და... ამ კუთხითვე უნდა შევხედოთ 1956 წლის 9 მარტის თბილისის მოვლენებს, რომელთა პოლიტიკური შეფასება არ არსებობს. აქ წითლად გადაღებილებმა კიდევ ერთხელ დასაჯეს სიკვდილით ნაციონალ-უტოპისტების ქვედა ეშელონი (ზემო ეშელონი ოცდაჩვიდმეტში დაიხაჯა). ეს იყო და ეს.

თანასწორობის იდეით შეპყრობილნი განკურნებას არ ექვემდებარებოდნენ არც ერთ ქვეყანაში: არც ესპანეთში, არც ჩილეში, არც ინდონეზიაში, არც ეთიოპიაში, არც ავღანეთში და არც საქართველოში. ამიტომაც, 1956 წელს მოხდა მარქსისტული იდეოლოგიის საბოლოო, ნახტომისებური დისკრედიტაცია საქართველოში. ესეც ფაქტია.

მეტად მრავლისმეტყველ შემთხვევას ჰქონდა ადგილი თბილისში ნიკიტა ხრუშჩოვის ვიზიტის დროს 1963 წელს.

როგორც ცნობილია, მას მაშინდელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ შთამბეჭდავი შეხვედრა გაუმართა მთაწმინდის ზედა პლატოზე სპეციალური პროგრამით, რომლის ერთ-ერთ ნომრად დაგეგმილი იყო „გულთბილი“ შეხვედრა ქართველ იდეურ მარქსისტებთან.

როდესაც მას წარუდგინეს „ძველი ბოლშევიკების“ ჩამწ კრივებული რიგი, ნიკიტამ, რომელსაც საკმაოდ ხმელი საქაღალდე ეპყრა ხელთ, ჩაიბურტყუნა: „ძველო ბოლშევიკებო, თქვენი დედაო....“ და სწრაფი ნაბიჯით საქაღალდე ისე ჩაურიკინა მათ მუცლებს, როგორც ბავშვი ერთობა ხოლმე ღობეზე ჯოხის გადატარებით.

რასაკვირველია, გაოგნებული დამსწრეებიდან ვერავინ მიხვდა თუ რას ნიშნავდა ასეთი გულახდილი გამოვლინება — **ქვეცნობიერების მომენტალური** გახსნა.

„კრისტალური კომუნისტი“, „ნამდვილი ძველი ბოლშევიკი“, „უპარტიო ბოლშევიკი“ და სხვა ამნაირი ეპითეტებით ახსენებდნენ ხალხში იმ გროტესკად შემორჩენილ „პატიოსან ადამიანებს“, რომელთაც მატერიალურ ფასეულობებს არ ანაცვალეს თავიანთი „შეუბღალავი რეპუტაცია“ და თანასწორობის იდეის დარაჯად იდგნენ ბოლომდე.

ვინ იყო ეს ულმერთო ხალხი, რომელსაც დიდის მოქნილობით და ფარისევლური პატივისცემით ეპყრობოდნენ კომუნისტ-კონფორმისტები და წინ ასაფარებელ ნიღბად იყენებდნენ ენაჩავარდნილებსა და უნაყოფოებს. უკანასკნელებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ ხმას ამოიღებდნენ „ლენინური გზიდან გადახვევაზე“ ან „მარქსიზმის რევიზიაზე“, თავიანთი ძველი თანამზრახველების გზას გაუყენებდნენ. ასე რომ, მათ შორის სრული კომპრომისი სუფევდა — „შენც სუ და მეც სუ“.

იმასაც ხშირად ამბობდნენ, რომ „ასეთ ხალხს მშრომელთა კეთილდღეობის გარდა არაფერი აინტერესებდათო“. საფუძველშივე მცდარი იყო ამგვარი შეხედულება.

არსებობს პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების ორი ძირითადი გზა: მატერიალური კეთილდღეობისა და უფლებრივი უპირატესობისა, ნორმალურ საზოგადოებაში ეს ერთიმეორედან გამომდინარეობს. „სოციალიზმის“ დოქტრინა კი ამის ოფიციალურ საშუალებას არ იძლეოდა, წარმოიდგინეთ, ბოლო პერიოდამდეც კი. რაიკომის მდივნის პოსტამდე რომ მიგეღწია „შეუბღალავი“ რეპუტაცია უნდა გქონოდა კომკავშირის ბობოლობიდან დაწყებული. მერე კი, იცოცხლე, რაც გინდა გეკეთებინა, თუნდაც სულ დაგექცია რაიონი, მაინც „მათი“ კაცი იყავი ბოლომდე. ჰოდა, ამიტომაც, აგერ აქამდე იდგა რიგი ამნაირი „წესიერი პარტიული მუშაკებისა“, მორჩილად რომ ელოდებოდნენ თავიანთ ბედს კონფორმისტული პარტიული ტრამპლინისაკენ და ყოველი შემთხვევისათვის „მეცნიერული მუშაობითაც“ იქცევდნენ თავს, მათი გონებრივი შესაძლებლობების „ხალხის კეთილდღეობის“ სამსახურში ჩაყენების მიზნით.

რაც შეეხება უფლებრივ უპირატესობას, ეს „ძველ ბოლშევიკებს“ თავის დროზე მრავლად ენიჭებოდათ რევოლუციის ერთგულებისათვის და კარგად მოგეხსენებათ, როგორც გამოიყენეს ხალხის „საკეთილდღეოდ“. აქაოდა, „ბუზიც არ ამიფრენიაო“ — ამტკიცებს ზოგიერთი ნაკომუნისტარი საგაზეთო აღსარებაში — „შემთხვევით მოვხვდიო“, „ინერციით შევედიო“, „ახალგაზრდა ვიყავიო“, „ჯარში ყოფნისასო“ და სხვა. ეს კიდევ არაფერი. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ადრე ეკლესიაში შესულ კომკავშირლებს ითვლიდნენ, ხოლო წითელი მანდატის მოშორების შემდეგ გამათავისუფლებელი მოძრაობის „წამყვან“ ძალად ცდილობენ მოევლინონ საზოგადოებას და ამ უზნეობაზე პასუხის მომთხოვნელიც ლამისაა არავინ რჩება.

„სად არის ინტელიგენციაო“ გაისმის აქეთ-იქიდან.

ოჯახში, ბატონებო! მე ის კატეგორია არ მყავს მხედველობაში ერთი ფეხი რომ პარტიაში ჰქონდა და მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თუ პედაგოგიკის თუ მედიცინის კავშირებში იყო გაერთიანებული ე. წ. „მოწინავე ინტელიგენცია“, ულტრები რომ „გაყიდულ ინტელიგენციად“ ნათლავენ. მხედველობაში არ მყავს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მიერ გამოვლენილი პატრიოტიზმი, რომელსაც ფრაგმენტულად, ნამდვილად ჰქონდა ხოლმე ადგილი, შორს იყო მოქალაქეობისაგან. ნაძირალებისთვის პატრიოტიზმიც შეიძლება პოზა იყოს. პატრიოტიზმის გამოვლენის უფლებით კი გაწითლებულები კარგა ხანია კომპრომისის სანაცვლოდ ვაჭრობდნენ. მას გარკვეული და გამოზომილი დოზით იძლეოდნენ ერთგულების და თანამშრომლობის გამოვლინების საფასურად. პატრიოტიზმის გამოვლენის უფლებასთან ერთად სხვა უფლებებიც რიგდებოდა, შედარებით პრაქტიკული. ეს გახლავთ ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ ასეთი პატრიოტიზმი საეჭვო და განსაქიქებელ მოღვაწეობად იყო მიჩნეული ბარიერსაქეთა საზოგადოებისათვის და მისაბაძ მაგალითად ვერ გამოდგებოდა.

იგივე ავტორი „საქართველოს“ იგივე ნომერში ქართველი ერის თვითშენარჩუნების ერთადერთ წყაროდ „უძრაობის პერიოდის“ პატრიოტულ ქმნილებებს მიიჩნევდა?!

რა აზრი აქვს იმ მოძღვრის ქადაგებას, რომელიც მარხვას თვითონ არ ინახავს, ან რა აზრი აქვს მწერლის მიერ გამოგონილი გმირის პათეტიკას, ოდეს თავად მწერალი ქცევის საწინააღმდეგო მაგალითს აძლევს ერს?!

შორს ვართ რა აზრისგან, თითქოს მათი პატრიოტული ნამოღვაწარი მიზანს სრულიად არ აღწევდა, გვსურს სინანულით ვამცნოთ „ნაამხანაგართ“, რომ მათი ეროვნული საქმიანობა მაინც ყოველთვის დარჩება დაუფასებელი და ერთგვარი გაღიზიანების ობიექტი არაგულწრფელობის ეჭვისა გამო. ამიტომ და მხოლოდ ამიტომ მხედველობაში მყავს მხოლოდ პატიოსანი „ინტელიგენცია“ — „თავისუფალ მოქალაქეთა კასტა“. ასეთებისგან სიცოცხლის გადასარჩენად გაღებული ხარკიც კი სწორად, მართებულად აღიქმებოდა ხალხის მიერ. მათი „პროსოციალისტური“ ნაწარმოებებიც არ ითვლებოდა და არ ითვლება სახელის გატეხად. „გადაღებილებიც“ არასდროს სთვლიდნენ მათ თავისიანად.

მხოლოდ და მხოლოდ მათი არსებობა ამხნევებდა და იმედს მატებდა ერს.

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა ულმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უშჯულოთასა არა დაჯდა“ — ფსალმუნი 1.

ახლა კი გადავიწყებულ კატეგორიას, მოქალაქეობრიობას (და არა ქალაქელობას) თუ გავიხსენებთ, ის სავსებით გამორიცხავს რაიმე კომპრომისს. ეს კი უკვე მომაკვდინებელი იარაღი იყო „გადაღებილთა“ წინააღმდეგ, ყველაზე საშიში იმპერიისთვის ანტიკომუნისტური ფენა იყო საზოგადოებისა. ამიტომ, „კომუნისტური“ მმართველობის ყველა პერიოდში ეს კასტა მაქსიმალურად იზოლირებული და რეპრესირებული იყო, როგორც იდუმალი, დაუძინებელი, გაუცინარი და შეურიგებელი მოწმე და მოწინააღმდეგე გადაღებილი თუ გადაუღებავი წითელი უაზრობისა და უზნეობისა.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც პიროვნების შემოქმედება და მისივე მოქმედება ერთიანია, მთლიანია. ეს კი პიროვნული არსის, თავმოყვარეობის, მეობის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. (ამ ორ კატეგორიას შორის არსებითი სხვაობა სუფევს, თავმოყვარეობა საკუთარი თავის წინაშე თვითდამკვიდრებაა — უბრალოებაა. პატივმოყვარეობა კი სხვის წინაშე თვითდამკვიდრების ცდაა — საბრალება).

ასე მოიხადეს მათ ქვეყნის წინაშე თავისი მოქალაქეობრივი ვალი და დარჩნენ პრინციპულ, ჰკვიან, მხიარულ, პროფესიონალ, საქმიან, ბოლომდე ეროვნულ, მართალ, სულით ლამაზ, თავისუფალ ადამიანებად — „რჩეულნი ფრიად“. ეს მათ გადაარჩინეს საქართველოთ, წინამოძღვრის უფლებამოკლებულებმა თუ განზე მდგომებმა და დღემდე მოიყვანეს თავისი მხრებით. ახლა ისინი კვლავ ჩრდილში დგანან, კვლავ უყურადღებოდ და ელოდებიან საქართველოს თავისუფლებას. მათ არც სახელი აქვთ, არც გვარი და არც ჩინი. მათში დავანებულა საქართველოს ერთიანი, გაუტეხელი სული.

ძალიან რომ არ გადავუხვიოთ წითელი კონფორმიზმის თემიდან და მიკერძოებაში ბრალი რომ არ დაგვდონ, სამართლიანობა მოითხოვს იმ „დამსახურებაზეც“ ითქვას ორიოდე სიტყვა, რომელიც მიუძღვით მათ თავისუფლებისაკენ მიმავალი ხალხის წინაშე.

მრავალი ვერსია არსებობს „საბჭოთა წყობილების“ ნგრევის მიზეზებისა. მრავალი მოსაზრება იწერება თუ ვის უნდა დაბრალდეს უძლეველი დრაკონისათვის თავის მოჭრა, რეიგანს, გორბაჩოვს, ვალენსას, ეროვნულ მოძრაობას, დისიდენტებს, საზღვარგარეთის საზოგადოებრივ აზრს თუ სხვას.

თქვენ, და უპირველესად მხოლოდ თქვენ, ჩვენო „ტროას ცხენიდან“ გადმომხტარო გმირებო! ამ დამარცხების თასი მხოლოდ თქვენ გეკუთვნით, ჩვენო ძვირფასებო! ეს თქვენ მოსპეთ თქვენდა უნებურად კომუნიზმის იდეა, ეს თქვენ დააყენეთ კრახის წინაშე იმპერიის ეკონომიკა. ეს თქვენ გაანადგურეთ დემაგოგიური სისტემა რუსული ნეოიმპერიალიზმისა.

ყველაფერი ეს თქვენი უსულგულო ვულგარული პრაქტიციზმის დამსახურებაა.

ვულგარული პრაქტიციზმი ჰქვია მას სახელად. იგი არაკეთილსინდისიერი, კულისებსმიღმა კონკურენციის ფორმაა. იძულებითი მექანიზმის პირობებში იღებს სათავეს და ისევე შორსაა ბიზნესისაგან, როგორც სიყვარული სიძვისაგან. ვულგარული პრაქტიციზმი მატერიალური და უფლებრივი ფასეულობების დაუმსახურებელი განაწილების მახინჯი ფორმაა. იგი ხარობს მაშინ, როდესაც სახელმწიფოში მორალური კანონები წყვეტენ თავის მოქმედებას და ოფიციალურ დონეზე შემოდის გარიგების თუ „ჩაწყობის“ პრინციპი. ეს სოციალისტური წყობილების თანმხლები ქრონიკული დაავადებაა საზოგადოებრივი იერარქიის უკლებლივ ყველა ფენაში, ე. წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკიდან“ მოყოლებული სახელმწიფო აპარატამდე და სკოლის მერხიდან დაწყებული მეცნიერების „მწვერვალებამდე“.

დაავადება ვლინდება საზოგადოების წამყვანი მოქალაქეების მიერ მოქალაქეობრიობის, შინაგანი კულტურის დეფიციტში, მის უაზრობაში.

მაშ ასე, ოფიციალურად გიცხადებთ, რომ სოციალისტური სისტემის დანგრევის ნამდვილი ავტორები სწორედ თქვენ ბრძანდებით. თქვენი მძიმე ხვედრი ერთადერთი გზა იყო აბსურდის განადგურებისა და თქვენც წარმატებით გაართვით თავი ამ პრობლემას.

თქვენ ვერც „სხვანაირად მოაზროვნეებმა“ და დისიდენტებმა შეგიშალეს ხელი ამ კეთილშობილ საქმეში, რომელნიც სახელმწიფო კონსტიტუციური კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვისაკენ მოგიწოდებდნენ და ვერც მთავრობის გაძლიერებულმა „რეპრესიებმა“ გაჭრა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ და ვერც მართალმა საზოგადოებრივმა აზრმა იზეიმა თქვენზე.

მაინც თქვენი გაიტანეთ!

თუ ქართველმა ერმა კვლავ გამოიჩინა უმადურება და სათანადოდ ვერ შეგაფასათ, მიგულეთ თქვენს ერთადერთ მადლიერ სუბიექტად დედამიწაზე, ოღონდ ერთის პირობით: ღვთის გულისათვის, არ მითხრათ, „ყველაფერი ასე არ იყოო“...

თუ ამ პირობას ვერ შეასრულებთ, მაშინ მეც დანარჩენების მხარეს გადავალ, ოღონდ სხვებისაგან განსხვავებით, რომელთაც კვლავ ეუხერხულებათ თქვენს მაგივრად, ხმამაღლა გეტყვით რომაელთა პირით: „რისი უფლებაც აქვს იუპიტერს, ხარს არა აქვსო“.

უკვე აღმოცენდა სინდრომის პირველივე გამაფრთხილებელი ახალი ნიშნები, როგორც მრავალი პოლიტიკური პარტიისა და გაერთიანების გარშემო, ისევე „მრგვალი პარლამენტის“ შიგნითაც.

რა კრიტერიუმი არსებობს გასარჩევად, თუ რა პირობებში დგება პიროვნული ამბიციები ქვეყნის საჭიროებებზე მაღლა?

ადამიანის შინაგანი კულტურის დეფიციტის, განათლების, ნიჭიერების და თუნდაც ვაჟკაცობის ნაკლებობის დროს.

ამ ფენომენის გამოვლენა შეუძლია მხოლოდ დროს და შესაფერის პირობებს, რომელშიც გამოიცდება ყოველი კაცი. იგი სიცოცხლესავით არის: სადაც არ იყო, არ აღმოცენდება.

ახლა არსებობს რეალური საშიშროება ვულგარული პრაქტიციზმის ახალი გამოვლინების დაახლოებისა კომუნისტ-კონფორმისტის მდიდარ გამოცდილებასთან.

ეს არის საქართველოს შიდა, ნომერი პირველი, პოლიტიკური პრობლემა. რითი შეიძლება მოევლოს ამ საკითხს? მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო, თავისუფალი კონკურენციით! გახსოვდეთ, რომ ვულგარულ პრაქტიციზმს არ აძლევს ხელს თავისუფალი კონკურენცია. ყოველნაირი ავლითი ხერხებით შეუშლის მას ხელს, ყოველნაირ ახალ დემაგოგიას მოიშველიებს, მაგრამ სამომავლოდ მაინც ველარ გადაირჩენს თავს.

**ბაიოზ ერაძე**

**P.S. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ადამიანებს, რომელთა მიმართაც საყვედურის გამოთქმის უფლება არაფრით არ გვაქვს მათი წითელი მანდატების მიუხედავად და რომელთა ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც იკმარებს, საკუთარი თავი არ იგულისხმონ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში.**

# იმპერიის უკანასკნელი ხელმწიფე

**ერთ კაცს არ ძალუძს ისტორიის შეცვლა: გორბაჩოვი ვერ შეაჩერებს მსხვრევას. ამბობს ჯონათან ეიელი.**

**პრეზიდენტ გორბაჩოვის მხარდამჭერები დასავლეთში არასდროს დაფიქრებულან, თუ რატომ არის მათი გმირი უფრო პოპულარული საზღვარგარეთ, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში.**

**საბჭოთა** კავშირში დადგმული თეატრალიზებული რეფერენდუმის მიზანი დისკრედიტირებული კავშირისა და გაქიაქებული ცენტრალური მთავრობის ხელახალი დაკანონების მცდელობა იყო. კარგი იქნება, თუ ისინი, ვისაც დასავლეთში კვლავაც შერჩენილი აქვს სურვილი, მხარი დაუჭირონ მიხეილ გორბაჩოვს, მაინცდამაინც სერიოზულად არ მოეკიდებიან მის ბოლოდროინდელ გავარჯიშებას ე. წ. დემოკრატიაში თუკი სურთ თავიდან აიცილონ მცდარ ვარაუდებზე დაფუძნებული არასწორი პოლიტიკური სვლების მთელი სერიალი.

საბჭოთა პრეზიდენტის მიერ რეფორმის გატარების მცდელობა თავიდანვე განწირული იყო, მაგრამ იგი მაინც პოულობდა მხარდამჭერას დასავლეთში იმათგან, ვინც მასში ბნელეთის აბსურდულ ძალებთან მებრძოლ სასწაულმომქმედ მმართველს ხედავდა. სინამდვილეში კი მისი ძალისხმევა, შეინარჩუნოს საბჭოთა იმპერია, თითქმის მთლიანად ემთხვევა რუსეთის ისტორიულ ტრადიციებს, სადაც ყველა რეფორმატორი ცდილობდა თავისი საკუთარი პრიორიტეტი მოეხვია თავს სახელმწიფოსთვის და ნაკლებად უწევდა ანგარიშს იმას, თუ რა იყო რეალურად შესაძლებელი. ასე რომ, დასავლეთის შეცდომა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მან ჯეროვნად ვერ შეაფასა გორბაჩოვის შესაძლებლობანი, არამედ უმთავრესად იმაში, რომ მან განუმტკიცა გორბაჩოვს რწმენა, თითქოსდა შესაძლებელია ფიქციისათვის ფაქტების მორგება, ძალდატანებით შექმნილი იმპერიის შენარჩუნება და მოლოდინიერებაც კი გორბაჩოვის მაგარი მმართველობის ხელით.

როგორც არაერთხელ გვსმენია პოლიტიკოსებისაგან, კერძოდ, მარგარეტ ტეტჩერიდან დაწყებული, რომელიც წმინდა ფრანცისკ ასიზელის სიტყვებს მოიშველიებდა, ასევე აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთი მოკრძალებული კანდიდატიდან, რომელიც ჩერჩილის ერთ-ერთ სიტყვაში გატარებულ აზრებს თავისად აცხადებდა, მანტია „ანგებით მოვლენილი“ ლიდერისა, რომელიც შეძლებდა ისტორიის ჩარხის შემობრუნებას — კვლავაც სანუკვარ ოცნებად რჩება ყველა პოლიტიკოსისათვის. დემოკრატია კატეგორიულად უარყოფს ამგვარი თვითგანდიდების პრეტენზიებს. იგი ან ზღუდავს ლიდერთა ძალაუფლებას, ან სააშკარაოზე გამოაქვს თუ რანი არიან ისინი: ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თავის კარიერაზე ფიქრობენ, რაც დაფუძნებულია მათი საკუთარი მნიშვნელობის გაზვიადებაზე და მაინც, რწმენა იმისა, რომ ერთ ადამიანს ძალუძს შეცვალოს ერების ისტორია ცალკეული საგმირო საქმეებით თუ განჭვრეტის განსაკუთრებული უნარით, კვლავაც არსებობს და ძალზე ხშირად ასეთ რწმენას დასაბამი მიუცია გამოუსწორებელი დიქტატურებისთვის და ენით უთქმელი ტერორისტული აქტებისთვის.

გასაკვირი არ არის, რომ საბჭოთა პრეზიდენტი აშკარად დაინტერესებულია განამტკიცოს ის აზრი, რომლითაც დასავლეთში მრავალნი არიან შეპყრობილი, რომ იგი წარმოადგენს ქვეყნის ერთადერთ იმედს. მისი მტრული დამოკიდებულება ბორის ელცინის მიმართ, ნაწილობრივ ამ აზრის გაძლიერების სურვილითაა განპირობებული.

იმ ფაქტს, რომ ბატონმა გორბაჩოვმა თავისი მმართველობის ექვსი წელი დაასრულა იმით, რომ გვერდი აუარა საერთო-სახალხო არჩევნებს, არაფრად აგდებენ დასავლეთში სწორედ ისინი, ვისაც სურდა, მხარი დაეჭირა დემოკრატიზაციის პროცესისთვის საბჭოთა კავშირში. მათი ზოგჯერ საკმაოდ განსხვავებული არგუმენტები, როგორც წესი, ერთზე დაიყვანება: მიუხედავად „შეცდომებისა“, „ბორძიკისა“ ან არასწორი წამოწყებებისა, იგი მაინც ისეთი ლიდერია, რომელსაც „სწორი“ ალღო აქვს და თუ დააცალეს, უფრო მეტი შანსი აქვს მიაღწიოს წარმატებას. თვით იმ

დასასრული მე-7 გვ.

# ცოდნის ბაზარი

**ბაზარი** რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენია, მისი მოქმედების არე შეუზღუდავია. იგი პირველ რიგში იჭრება იქ, სადაც მოსალოდნელია დიდი მოგების მიღება. ბაზარი, განსაკუთრებით კი მის საწყის ეტაპზე, ანგარიშს არ უწევს არავის და არაფერს, მათ შორის არც სახელმწიფოს. ასე ხდება საქართველოშიც. ბაზარი იპყრობს არასაწარმოო სფეროს, ვაჭრობას, მომსახურებას, განათლებას და ა. შ. იგი განზე განუდგა წარმოების, თვით პროდუქტის შექმნის პრობლემას, რაც განუვითარებელი, არაცივილიზებული ბარბაროსული ბაზრის ნიშანია. ამას კი უთუოდ სჭირდება სწორი სახელმწიფოებრივი წარმართვა და დემოკრატიული ბერკეტებით დარეგულირება.

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" (№ 35, 9 მაისი, 1991 წ.) გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლების და მეცნიერების კომისიის დავალებით დეპუტატ ლოვარდ ტუხაშვილის მიერ შემუშავებული „ფასიანი სწავლების დროებითი დებულების" ჰიპოთეზური ვარიანტი, რომელიც წარმოდგენილია საერთო-სახალხო განხილვისათვის. ამჟამად ჩვენი მიზანია გამოვთქვათ ზოგიერთი კონკრეტული მოსაზრებანი ფასიან სწავლებაზე და დავაყენოთ რიგი ორგანიზაციული ხასიათის საკითხები სახალხო განათლების სრულყოფის მიმართულებით.

ჩვენის აზრით, საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა პირველი ნაბიჯები ჯერჯერობით არასწორი მიმართულებით იდგმება. ეს ეხება განათლების სისტემასაც, სადაც თავისუფალმა მეწარმეობამ საქმიან წრეთა უდიდესი ყურადღება მიიპყრო. ეს სავსებით კანონზომიერი არჩევანი განაპირობა მთელმა რიგმა ფაქტორებმა. პირველი, საქართველოში ტრადიციულად, ჯერ კიდევ შეუსწავლელი ფაქტორების მოქმედების გამო, მეტისმეტად დიდია უმაღლესი განათლებისაკენ, უფრო სწორედ, დიპლომის მიღებისაკენ სწრაფვა, რაც თავის მხრივ მაღალ კონკურსებს განაპირობებს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. მეორე, უმაღლეს სასწავლებლებში მიღების მოუქნელმა მექანიზმმა და საქმოსანთა მომხვეჭელობისაკენ სწრაფვამ სახელი გაუტეხა ზოგიერთ სასწავლო დაწესებულებას. მესამე, სოფლად დიფერენციული რენტის წყალობით და ქალაქად კოოპერატიული მეწარმეობის უკონტროლოდ განვითარების შედეგად მოსახლეობის ერთ ნაწილში დიდძალი ფული დაგროვდა. ამ დროს კი წარმოების ტემპები კატასტროფულად ეცემა. საქონელი არ არის, ფული არის, ინფლაცია დღითიდღე მატულობს, ფული ეძებს მომხმარებელს. და აი, გაჩნდა ფულის გამოყენების ახალი წყარო — ცოდნის ბაზარი — სამეურნეოანგარიშიანი სწავლება. თუმცა ის საფუძველს იღებს უფრო ადრინდელი პერიოდიდან, როცა დაიწყო აბიტურიენტების სკოლის გარეშე რეპეტიტორებთან მომზადება, ოღონდ ეს მეტწილად ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა და სახელმწიფოებრივი კანონებით ნაკლებად იყო დაცული. ჩვენ არაფერს ვამბობთ სარეპეტიტორო სამსახურების ნაკლოვან და დადებით მხარეებზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო ცოდნის ბაზრის პირველი გამოვლინება და მისმა ფართოდ და უკონტროლოდ დამკვიდრებამ უფრო თამამად გაუხსნა გზა ცოდნის კოლექტიურ ბაზარს — სამეურნეოანგარიშიანი უმაღლესი სასწავლებლების ფორმირებას.

წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, ჩვენი ქვემოთმოყვანილი მოსაზრებანი ნაკლებად შეეხება იმ სახელმწიფო სექტორის უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებმაც საკუთარი სურვილით თუ „გარედან დაწოლით" გახსნეს ფასიანი ფაკულტეტები. საუბარია ძირითადად იმ სხვადასხვა კავშირების, ასოციაციების და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების მიერ მთავრობის უნებართვოდ, უდროოდ და უადგილოდ, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინების გარეშე „გახსნილ" მოდური დასახელების უმაღლეს სასწავლებლებზე. მე როგორც პროფესიონალი ეკონომისტი, რომელიც არც თუ ცუდად ვიცნობ საბაზრო ეკონომიკის პრობლემებს, არ ვარ და ვერც ვიქნები ცოდნის ბაზრის წინააღმდეგი. მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, სახელმწიფო ინტერესების და ქართველი ახალგაზრდების მომავალი ბედის გაუთვალისწინებლად, ეროვნული განათლების ფაქიზი და რთული საკითხი მივანდოთ ამჟამად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქაოსურ და ბარბაროსულ ბაზარს.

როგორ ვითარდება ჩვენში ცოდნის ბაზარი? ამ საქმეს ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების დროს ჩაეყარა საფუძველი. რესპუბლიკის ახალგაზრდობის სწავლების პრობლემით „დაინტერესებულმა" საქმიან ადამიანთა ჯგუფებმა, იგრძნეს რა ბიზნესის დიდი პერსპექტივა განათლების სისტემაში, მიმართეს მაშინდელ მთავრობას ფასიანი სწავლების საქმეში ხელის შეწყობისა და ნებართვისათვის. მთავრობამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო დააყოვნა გადაწყვეტილების მიღება. უფრო სწორედ, ამისათვის ზემდგომ ორგანოებს არც კი ეცალათ. ეს ის პერიოდია, როდესაც ძველი ხელისუფლება კარგავდა ძალაუფლებას და მათ ადგილას მოდიოდნენ ახალი, რადიკალური მიმართულების კადრები.

ცოდნის ბიზნესის პიონერებმა თევზის დაჭერა მოინდომეს მღვრიე წყალში. ისინი მოქმედებდნენ „ფაქტის წინაშე დაყენების" პრინციპით და არ დააყოვნეს კიდევაც. რეკორდულ დროში სხვადასხვა კავშირების და საზოგადოებების ეგიდით „გახსნეს" ფასიანი სასწავლებლები და სასწრაფოდ „უზრუნველყვეს" მათი სტუდენტებით დაკომპლექტება. ბიზნესმენებმა გონივრულად დააპროგნოზეს მოსალოდნელი შედეგები: ჩარიცხული სტუდენტების და მათი მშობლების წინააღმდეგობის დიდი ძალა, თუ აკრძალვა დაემუქრებოდა ფასიან სასწავლებელთა ფუნქციონირებას. აქ უბრალო პროგნოზირების ანალოგიის მეთოდი იქნა გამოყენებული. ანალოგიურად აღებული იქნა განათლების სამინისტროს სისტემის სასწავლებლებში განაწყენებული აბიტურიენტების და მშობლების ცნობილი აქციები: შიმშილობა, დარბევა, პიკეტები და ა. შ. მიზანი მიღწეულია. დღეს რესპუბლიკაში ავტონომიურად ფუნქციონირებს მრავალი სხვადასხვა ტიპის ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი. ახლა კი გამოსავალი ერთადერთია. მათ უნდა მიეცეთ ოფიციალური სტატუსი და მთავრობის მიერ აღიარება. სხვა მშვიდობიანი გზა არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდუვალია ძალისმიერი პოლიტიკა, იერიში ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ ფასიან სწავლებაზე ყურადღების გამახვილება დროული და მისასალმებელია. გამოქვეყნებული „დროებითი დებულება" საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სწავლების შესახებ შეიძლება ჩაითვალოს იმ ძირითად ჩონჩხად, რომელიც გამომდინარე პრაქტიკის განზოგადებიდან თანდათანობით შევსებას და სრულყოფას მოითხოვს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტში არაა შესული რამდენიმე კონკრეტული და მნიშვნელოვანი საკითხი, რაც, რასაკვირველია, არცაა გასაკვირი, რადგან ამგვარი დოკუმენტის შედგენას სჭირდება გარკვეული დრო, სხვადასხვა მოსაზრებათა მეცნიერული შესწავლა და განზოგადება.

ჩვენის აზრით, ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს. საკითხის დაყენება მთავრობაში, სამინისტროების, უწყებების, საზოგადოებების და ა. შ. მიერ, უნდა მოხდეს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შუამდგომლობით. ახალი სასწავლებლის ჩამოყალიბების აუცილებელ დოკუმენტთა პაკეტში, უნდა იყოს წარმოდგენილი: ამა თუ იმ პროფილით სპეციალისტებზე მოთხოვნილების პროგნოზი და მისი არსებული სასწავლებელთა სისტემით დაფარვის დასაბუთება; სასწავლებლის საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობანი და მეცნიერულ-პედაგოგიური პოტენციალი; დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების და ორგანიზაციების, აგრეთვე წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების და ცალკეული მეცნიერების დასკვნები ამა თუ იმ პროფილით ახალი სასწავლო დაწესებულების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის შესახებ და სასწავლებლის წესდება (სწავლების კონცეფცია, სასწავლო გეგმები და პროგრამები და ა. შ.).

მთავარი ამ დოკუმენტებს შორის არის პროგნოზული გაანგარიშებანი ამა თუ იმ პროფილით პერსპექტივაში კადრების მოთხოვნილებაზე, ის უნდა იყოს ორგანული შემადგენელი ნაწილი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგნოზისა. ამ შემთხვევაში ავტონომიური, დარგობრივი პროგნოზი არ გამოდგება. აღნიშნული გაანგარიშებანი უნდა იყოს ოფიციალური და ეფუძნებოდეს სახელმწიფო ექსპერტიზას.

პროგნოზულ გაანგარიშებათა აუცილებლობა განპირობებულია განათლების სფეროში საბაზრო ურთიერთობათა თავისებურებებით. აქ ბაზრის ცნობილი თვითრეგულირების პრინციპი ნაკლებად გამოსადეგია, რადგან განსხვავებით წარმოებისაგან, სადაც პროდუქტს ნივთობრივი, დასრულებული სახე აქვს, განათლების საბოლოო შედეგს არა აქვს ნატურალური სახე და მისი „შედეგიანობის", მისი სახმარი ღირებულების მოკლე დროში გამოვლენა შეუძლებელია. ის ვლინდება დროის ხანგრძლივ მონაკვეთში, მთელი ტექნოლოგიური (სასწავლო) პროცესის სრული ციკლის დამთავრების შემდეგ. ცოდნის სახმარი ღირებულების რეალიზაცია კი დამოკიდებულია მისი მოთხოვნილების დონეზე. ეს უკანასკნელი კი წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული, დაპროგნოზებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება შრომითი რესურსების უმიზნო ორიენტაციას, რაც საბოლოოდ „დიპლომანიის" დღეს უკვე მძლავრად ფეხმოკიდებულ მანკიერებას კიდევ უფრო გააღრმავებს. სპეციალისტებზე მოთხოვნილების გრძელვადიანი პროგნოზი უნდა გახდეს მთავარი ბერკეტი, რომლის ძალითაც გამოირიცხება საქმიან წრეთა სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო ქმედება. ეს შეზღუდვა ყველაზე დემოკრატიულია იმ სხვა ბერკეტებისაგან განსხვავებით, რომელიც ამ მიმართულებით დღემდეა ნავარაუდევი. თუ ამ საქმეში სრული საბაზრო თავისუფლების პრინციპი დავნერგეთ, ცოტა ხანში საქართველოში ფიზიკურად მშრომელი კაცის პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება და შესაბამისად გვეყოლება დიპლომირებულ (მცოდნეთა და არამცოდნეთა) უმუშევართა უზარმაზარი არმია. აი შედეგი, რასაც მივიღებთ, თუ აქედანვე გონივრულად, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე არ წარვმართეთ საბაზრო კანონების მოქმედება უმაღლესი განათლების სფეროში.

ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე თავისი დასკვნები უნდა წარმოადგინონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურებმა, აგრეთვე განათლების, ეკონომიკის, მეცნიერების და ტექნიკის და სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა, იმ რეგიონის პრეფექტურამ, სადაც გათვალისწინებულია სასწავლებლის გახსნა. ამგვარი მრავალეტაპიანი პროცედურა უმაღლესი სასწავლებლის გახსნისა მიმართულია იქითკენ, რომ გამოირიცხოს შემთხვევითობა და ჯგუფური ინტერესები ახალი სასწავლებლის ფორმირების საქმეში. კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ მხოლოდ რესპუბლიკის მთავრობა უნდა იყოს უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება ახალი უმაღლესი სასწავლებლის გახსნის თაობაზე. საოცარია, რომ მთავრობის კომპეტენციას შეადგენს სხვადასხვა საწარმოების, ფირმების, საზოგადოებების და ა. შ. გახსნა, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის გახსნის უფლება მას გაურკვეველი მიზეზებით უჩინარ ძალთა მიერ „წართმეული" აქვს.

ფასიან სწავლებაზე კანონმა ან დროებითმა დებულებამ მკაცრად უნდა განსაზღვროს სასწავლებლის ხელმძღვანელის (რექტორის) დანიშვნა-არჩევის წესი. მან უნდა გამორიცხოს ამ თანამდებობაზე შემთხვევითი ადამიანების, არასპეციალისტების, პროფილით განათლების და სამეცნიერო ხარისხის არმქონე მუშაკების მოხვედრა. აუცილებლად უნდა ჩაითვალოს, რომ რექტორს და პრორექტორებს სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში ჰქონდეთ მინიმუმ 5 წლის მაინც სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟი. აგრეთვე კანონმა არ უნდა დაუშვას ფასიან სასწავლებლებში ხელმძღვანელი თანამდებობების შეთავსების წესით დაკავების უფლება. ამას ამჟამად მასობრივი ხასიათი აქვს, რაც უარყოფითად მოქმედებს თვით ფასიანი სწავლების ავტორიტეტზე და მუშაობის ხარისხზე.

ჩვენის აზრით, ყოვლად დაუშვებელია სამეურნეოანგარიშიანი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, კათედრის გამგეების, კაბინეტ-ლაბორატორიების და სხვა სასწავლო-დამხმარე ქვედანაყოფების მხოლოდ შტატგარეშე (შეთავსების, საათობრივი ანაზღაურების წესით) თანამშრომლებით დაკომპლექტება. ამის შედეგები ნათელია: ლექცია-სემინარების ხშირი ჩაშლა, საქმისადმი დაბალი პასუხისმგებლობა, აღმზრდელობითი მუშაობის იგნორირება, ინერტულობა და ქაოსი კაბინეტ-ლაბორატორიების მუშაობაში და საერთოდ ასეთ შემთხვევაში სასწავლებლის ოპტიმალური მართვის და ფუნქციონირების შეუძლებლობა.

გარკვეულ მოწესრიგებას მოითხოვს ფასიანი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების სისტემა. აქ შეინიშნება სრული სუბიექტური მიდგომა, რომელიც არ ემყარება მეცნიერულ საფუძვლებს. ამ კატეგორიის მუშაკთა ხელფასი სხვადასხვა სამეურნეოანგარიშიან სასწავლებლებში სხვადასხვაა და ის არსებითად მაღალია სახელმწიფო სექტორის სასწავლებლებში შრომის ანაზღაურების დონესთან შედარებით. ნებისმიერი ფასიანი სასწავლებლის რექტორი 2-3 ჯერ მეტ ხელფასს იღებს ვიდრე, მაგალითისათვის ვთქვათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. რა თქმა უნდა, თავისთავად მაღალი შრომის ანაზღაურება კარგია და მისასალმებელია, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ერთ ფრიად საგულისხმო მოვლენასთან. კერძოდ, ფასიან სასწავლებლებში საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პედაგოგების გამოყენებამ არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო სექტორის სასწავლებლებს. ამ უკანასკნელში დაეცა შრომისადმი სტიმული, გაუფასურდა პროფესორ-მასწავლებელთა შრომა. ამასთან სახელმწიფო სექტორის სასწავლებლებში მასწავლებლები, ინარჩუნებენ რა ძირითად სამუშაო ადგილს, მაქსიმალურად ესწრაფვიან ფასიან სასწავლებლებში სამუშაოს მიღებას საათობრივი ანაზღაურების წესით. ამ დროს კი სახელმწიფო სექტორის სასწავლებლებში მასწავლებელთა მოწვევა სულ უფრო ჭირს, რაც უარყოფითად მოქმედებს სწავლების ხარისხზე. შეიძლება შემეკამათონ და მითხრან, ეს ხომ ჯანსაღი კონკურენციააო. არა და არა. ეს სრული ქაოსია. კონკურენცია იქნება მაშინ, როდესაც ფასიან სასწავლებლებს ეყოლებათ საკუთარი შტატის პროფესორ-მასწავლებლები. შეთავსების წესით მთელი სასწავლო პროცესის ორგანიზაცია თავის და საზოგადოების მოტყუებაა. აქ უნდა მოინახოს კომპრომისული გზა. უპირველეს ყოვლისა, საბიუჯეტო სასწავლებლებში უნდა გაიზარდოს პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები. ეს პროცესი დაიწყო. მაგრამ შესაბამისად ამისა არ უნდა მოხდეს ფასიან სასწავლებლებში ხელფასების დაუსაბუთებელი მატება. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ გაჩნდება დიდი ზღვარი საბიუჯეტო და ფასიან სასწავლებლებს შორის შრომის ანაზღაურებაში და შესაბამისად განათლების სისტემაში გაგრძელდება ქაოსი და გაუკუღმართება, გაღრმავდება დაპირისპირება საბიუჯეტო და ფასიან სასწავლებლებს შორის.

სამართლიანად მიგვაჩნია დროებითი დებულების ის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ფასიან სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩატარებას სახელმწიფო სექტორის სასწავლებლების პარალელურად. ამით გარკვეულწილად ამაღლდება ფასიან სასწავლებლებში ჩარიცხულთა მომზადების დონე. დღემდე ამ ტიპის სასწავლებლებში აბიტურიენტთა მიღება ხდებოდა წლითწლის თითქმის ნებისმიერ დროს, რაც იწვევდა საბიუჯეტო სასწავლებლებში „უბედოთა" ჩარიცხვას. ეს ის კონტინგენტია, რომელსაც საკმარისი საბაზო განათლება არა აქვს და სწორედ მათი უცოდინარობის კომპენსაცია ხდება მშობლების ფულით. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მანამ სანამ სწავლების წარმართვა კონკურენტუნარიანნი არ გახდებიან ფასიანი სასწავლებლები, მათში ჩარიცხულთა მომზადების დონე შედარებით დაბალი იქნება. მომზადებული აბიტურიენტი, რასაკვირველია, მიმართავს საბიუჯეტო სასწავლებელს და დაზოგავს მშობლების ფულად სახსრებს. ამასთან ფასიანი სწავლების მასიური შემოღება შეძლებულ ოჯახთა შთამომავლობას დაუკარგავს გარკვეულწილად რეალური ცოდნის მიღების სურვილს, რადგან მათ იციან, რომ ფულის წყალობით ისინი მშობლების სანატრელ დიპლომს მაინც მიიღებენ. ეს ფაქტორი გამოირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც საბიუჯეტო და ფასიან სასწავლებლებში მიღების კრიტერიუმი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ცოდნა და არა მშობლების ფული.

ვერ დავეთანხმებით ბატონ ლოვარდ ტუხაშვილის პოზიციას იმის შესახებ, რომ ფასიან სასწავლებლებში არაა მიზანშეწონილი მისაღები კონტინგენტის შეზღუდვა და იგი უნდა განსაზღვროს თვით სასწავლებელმა მსურველთა [illegible]ცხვის გათვალისწინებით. აქ ერთ[illegible]თ შეზღუდვად მიჩნეულია სასწავლებლის მატერიალური შესაძლებლობანი. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ვერ იქნება მისაღები კონტინგენტის რეგულატორი. ბიზნესს თავისი კანონები აქვს. ის, როცა საჭიროა მისთვის, თვალისახვევას და მიწერებსაც არ იუკადრისებს. ამის ფაქტები დღესაც მრავლადაა. დღემდე არსებულ თითქმის არცერთ ფასიან სასწავლებელს საკუთარი მატერიალური ბაზა არ გააჩნია. რაც აქვთ, ისიც ძირითადად სახელმწიფო სექტორიდან აქვთ მიღებული არენდის წესით. ამ დროსაც კი ზოგი სასწავლებელი არ დასჯერდა დღის სწავლებაში ჩარიცხულ კონტინგენტს და გახსნა ფილიალები, მოსამზადებელი ჯგუფები, რეგიონული ფაკულტეტები და ა. შ. რა იქნება იმ შემთხვევაში, როცა მათ კანონის ძალით მოეხსნებათ რიცხობრივი შეზღუდვა, ადვილი წარმოსადგენია. გაფართოვდება საარენდო ურთიერთობანი, ქალაქების სკოლლები მეორე, მესამე ცვლ[illegible] ფასიან სასწავლებელთა საარენდო მომსახურებაში გადავა. დაიფანტება ძალები და შესაბამისად მოწვეული მასწავლებლებით მუშაობის პირობებში კონტროლი საერთოდ არ იქნება. საბოლოო ჯამში სწავლა ფორმალურ ხასიათს მიიღებს. უფრო მეტიც, ამ პირობებში ფასიან სასწავლებლებს მოაწყდება თითქმის ნახევარი საქართველო, რადგან „დიპლომანიის" მანია კი არ ქრება, არამედ იგი გეომეტრიული პროგრესიით ვითარდება.

ჩვენის აზრით სუსტია „დროებითი დებულების" ეკონომიკური ნაწილი. ეს დიდი თემაა. ამიტომ მოკლედ ვიტყვი. არ ჩანს სწავლის ქირის მოწესრიგების საკითხი, არაფერი თქმული ამ მხრივ სტუდენტთა სოციალური დაცვის პრობლემაზე, გაუმართლებელია სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობის კონცეფცია, არ ჩანს გადამხდელთა უფლებანი სახსრების ხარჯვაზე, წარმოება-დაწესებულებათა მონაწილეობა ფასიან სწავლებაში და ა. შ.

ბაზარი ფუნქციონირებს და ვითარდება არა მხოლოდ საკუთარი, შინაგანი, ენდოგენური ობიექტური კანონებით, არამედ მისი განვითარების დონე და ცივილიზების ხარისხი ზევრადაა დამოკიდებული გარეგანი, ეგზოგენური, სუბიექტური ფაქტორების გავლენაზე. ბაზარი სინთეზია, ნაერთია ობიექტურის და სუბიექტურის, ის მაშინაა ძლიერი, როდესაც მასში ოპტიმალურადაა შერწყმული მისი შემადგენელი სხვადასხვა კომპონენტები. ამ უკანასკნელის დარღვევას ქაოსსა და ანარქიამდე მივყევართ. ამ დროს კი საჭირო ხდება ბაზრის ფუნქციონირების სახელმწიფო კანონებით დარეგულირება. ეს ასეც ხდება საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ ცივილიზებულ სახელმწიფოში. ამაში არაფერია საშიში და ანტიდემოკრატიული და ეს შესაძლებლობა ჩვენ ხელიდან არ უნდა გავუშვათ. საქართველოს ხელისუფლებამ თვითდინებაზე არ უნდა მიუშვას უმაღლესი განათლების საკითხი. საჭიროა დროულად მივიღოთ კანონი, რომელიც ცივილიზებული მეთოდებით დაარეგულირებს ეროვნული კადრების მომზადების რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს.

**ი. მესხია,**

**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**გთხოვ ჰონორარი გადარიცხოთ ხრეჭით დაზარალებულთა ფონდში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქრო... ვერცხლი... პლატინა...



**მას** აქეთ, რაც კაცობრიობამ მიჰყო ხელი ძვირფასი ლითონების მოპოვებას და მისგან სამკაულების დამზადებას, შესაბამისად დაწესდა საოქრომჭედლო ნაწარმზე სახელმწიფოებრივი კონტროლი. პირველი ასეთი ორგანო შექმნილა ბიზანტიაში მე-4 საუკუნეში. ბიზანტიიდან ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობათა დადაღვის წესი გავრცელდა ევროპაში, VIII საუკუნის [illegible] ნახევარში—საფრანგეთსა და გერმანიაში, 1300 წელს იგი შემოღებულ იქნა ინგლისში, ხოლო 1700 წელს—რუსეთში პეტრე I-ის მიერ.

საინტერესოა, რა მდგომარეობა იყო და არის ამ მხრივ საქართველოში. იქნებ საქართველოში საერთოდ არ ყოფილა ძვირფასი ლითონების მარაგი, არ წარმოებდა მისი დამუშავება და ქართველი ქალები მხოლოდ სხვა ქვეყნებში დამზადებული სამკაულებით იმკობდნენ თავს. ან იქნებ მართალია მითი იმის შესახებ, რომ ადრე იყო ჩვენში ოქროს საბადოები, დღეს კი აღარაფერი არის, დაილია.

სამწუხაროა, რომ ქართველ ისტორიკოსებს არა აქვთ შესწავლილი ძვირფას ლითონთა სასინჯი ზედამხედველობის როლი ქართული ოქრომჭედლობის განვითარების ისტორიაში.

ფაქტები კი მოწმობს, რომ საქართველოში არსებულა ძვირფას ნაკეთობათა კონტროლი, რასაც ადასტურებს ვერცხლის ჭურჭელზე გამოსახული წარწერები, რომლებიც მიანიშნებენ ნივთის დამამზადებელსა და მეტალის წონას.

1804 წელს თბილისში გაიხსნა სამონეტო სახლი და შესაბამისად დაწესდა სასინჯი ზედამხედველობა ამიერკავკასიაში წარმოებულ საიუველირო ნაწარმზე. საქართველოს მეორე ანექსიის შემდეგ, 1927 წელს დაარსდა სასინჯო ზედამხედველობის ინსპექცია, რომელიც 1950 წლამდე იცვლიდა როგორც თავის სახელწოდებებს, ასევე დაქვემდებარებას. სსრკ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 22 დეკემბრის № 5016 დადგენილებით დამტკიცდა „სასინჯი ზედამხედველობის დებულება", რომლის თანახმად სასინჯი ზედამხედველობის ინსპექცია გადავიდა სსრკ ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში, მას კურირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ეს დებულება დღესაც ძალაშია.

ე. ი. საქართველოში ყოველთვის იყო და დღესაც არსებობს ძვირფასი ლითონები, წარმოებდა და წარმოებს ძვირფას ლითონებზე და თვლებზე კონტროლი და ალბათ, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ „დიდი ოქტომბრის" შემდეგ, საქართველოს ანექსიის შედეგად ჩვენი ქვეყნიდან დიდ რუსეთში ყოველდღიურად გადის მნიშვნელოვანი რაოდენობის ოქრო და ვერცხლი!

ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე № 8 სახლის მე-5 სართულზე მოთავსებულია სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია. ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნოს ინსპექციის უფროსის, ბატონ **მიხეილ ბეგიაშვილის** მეტად საინტერესო და გაბედულ გეგმებს, გაიგოს რა პრობლემებია მისი სამსახურის წინაშე, რა დაბრკოლებები და წინააღმდეგობები ხვდებათ მას და მის კოლეგებს ერისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარების საქმეში.

— ჩვენს ორგანიზაციაში — გვიამბობს ბ-ნი მიხეილი,—ისინჯება ნაკეთობა, დგინდება მისი სინჯი და თუ ეს ნაკეთობა შეესაბამება სტანდარტულ სინჯს, უკეთდება მარკირება, ესმება სინჯის განმსაზღვრელი დაღი. ჩვენ ვატარებთ ძვირფასი თვლების დიაგნოსტიკას, ვაკეთებთ არბიტრაჟულ ანალიზებს, ვახდენთ ექსპერტიზებს (საგამომძიებლო ორგანოებისათვის, პროკურატურისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, უშიშროების კომიტეტისათვის), ინსპექცია (17 თანამშრომელი), რომელსაც კურირებს საქ. ფინანსთა სამინისტრო, ექვემდებარება სსრკ ფინანსთა სამინისტროს, მუშაობის პირობები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ლაბორატორია ძალიან პატარაა, არ ყოფნის ფართი, ნაცვლად აუცილებლად საჭირო 250 მ², ფაქტობრივად, გვაქვს 90 მ². ეს ლაბორატორია არ არის ხელსაწყოებით სათანადოდ აღჭურვილი. აქ ფიქსირდება თუ რამდენი ძვირფასი ნივთი გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში, აღირიცხება ყველა ის ორგანიზაცია, ვისაც კი ძვირფას ლითონებთან ან თვლებთან აქვს საქმე. ჩვენთან მოდის გამზადებული ნაკეთობა ნახევარფაბრიკატების სახით, აქ ის იდაღება (სინჯი ესმება). დაღებს იღებენ ლენინგრადის სამონეტო სახლიდან. ამიტომ მათი შეცვლაც სირთულეებთანაა დაკავშირებული. დაღის ფალსიფიკაცია შეუძლებელია. ამ დადაღვით ენიჭება ნაკეთობას მისი ღირსება.

ცენტრი 1 გრამ ოქროს, სისუფთავეზე გადაანგარიშებით, ყიდის 200 მანეთად, ე. ი. საიუველირო წარმოება 1 გრამ ოქროს 200 მანეთად ყიდულობს. დადაღვის შემდეგ ფასწარმოქმნაში მას ემატება დამზადების, სავაჭრო დანახარჯის და სხვა ხარჯები, ამიტომ მისი ფასი ძალზე დიდია.

ძვირფასი სტრატეგიული დანიშნულების ლითონებზე მოთხოვნილება მაღალია. იგი გამოიყენება ტექნიკის ყველა დარგში — ელექტრომრეწველობა არ არსებობს ოქროსა და ვერცხლის კონტაქტების გარეშე, მედიცინა, კბილის პროტეზირება — წარმოუდგენელია ოქროს, ვერცხლისა და პლატინის გარეშე, რადიომაუწყებლობა და სატელეფონო კავშირი ვერ იარსებებს პლატინის გარეშე, ძვირფასი ლითონები აუცილებელია ელექტროდების, გამტარების და ნახევარგამტარებისათვის და სხვა, ყოველივე ეს მონოპოლიზებულია საკავშირო ფინანსთა სამინისტროს მიერ.

ცენტრი გეგმავს, თითოეული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებზე რა ძვირფასი ლითონის ფონდი უნდა გამოიყოს! იქ, მოსკოვის სპეცშენადნობების ქარხანაში ხდება მისი შენადნობებისა და მარილების დამზადება. ნარჩენებიც საკავშირო ფონდს ბარდება. იქ წარმოებს მეორადი გადამუშავება ჩალის ფასად, ე. ი. 1 გ. ოქროს საქართველო ყიდულობს ორას მანეთად. იქიდან კი, მისი ნარჩენების ჩაბარებისას გრამზე ირიცხება 26 მანეთი, ამ ნარჩენებიდან კვლავ მზადდება ნედლეული, რომლის 1 გრამს 200 მანეთად ვყიდულობთ, მსგავსი ფორმა ექსპლოატაციისა ძნელი წარმოსადგენია.

მას შემდეგ რაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო — გვეუბნება ბ-ნი მიხეილი,—შესაძლებლობა მოგვეცა საკუთარი აზრი გამოგვეთქვა, გადავწყვიტეთ, ვიბრძოლოთ იმისათვის, რათა არც ერთი გრამი ოქრო, ვერცხლი და პლატინა არ გავიდეს რესპუბლიკიდან, საქართველომ უნდა ისარგებლოს ძვირფასი ლითონების საკუთარი რესურსებით. მივწერეთ მაშინდელ ფინანსთა მინისტრს, დემურ დვალიშვილს, მისი ყურადღება განსაკუთრებით გავამახვილეთ შემსყიდველ პუნქტებზე, ლომბარდებზე, საგამომძიებლო ორგანოებზე, ვამცნეთ სად რა იგზავნება რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ. ეს შემსყიდველი პუნქტები ექვემდებარება საქართველოს იუველირვაჭრობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსახლეობისაგან შეძენილი ძვირფასი ლითონი იგზავნება მოსკოვში, ცენტრალურ შემსყიდველ პუნქტში, რომელსაც საკავშირო ფინანსთა სამინისტრო აფინანსებს. საკავშირო ფინსამინისტროს აქვს ორგანო — სახელმწიფო საცავი, რომელშიც ჩვენ შევდიოდით. ახლა ჩვენი ინსპექცია ექვემდებარება „ძვირფასი ლითონების კონტროლის მთავარ სამმართველოს". ეს სამმართველო ნაკეთობას შეისყიდის მისი ღირებულების თითქმის ნახევარ ფასად. თუ მოქალაქე 4 თვის განმავლობაში ლომბარდიდან ვერ გამოისყიდის ნივთს, ლომბარდი ამ ნივთს აბარებს სახელმწიფოს, რაშიც იღებს ნივთის შესასყიდ ფასს და უხდის მოქალაქეს.

როდესაც საგამომძიებლო ორგანოები ახდენენ დამნაშავის ქონების კონფისკაციას, ძვირფასი ლითონების ნაკეთობები და თვლები მოსკოვში იგზავნება.

ყოველივე ეს ბატონმა მიხეილმა მოახსენა მინისტრს. ბატონი დემურ დვალიშვილი დაინტერესდა და [illegible] სახელმწიფო საცავი, რათა ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი არ გასულიყო საქართველოდან.

მოსკოვის საკავშირო საცავს სისხლიანი ისტორია აქვს. იგი შექმნილია 1920 წელს ლენინის დეკრეტის შედეგად. ამ დეკრეტის თანახმად გაუკეთეს კონფისკაცია მოსახლეობაში არსებულ ძვირფას საიუველირო ნაწარმს, საგანძურს, საეკლესიო ქონებას. ამის ორგანიზატორი იყო განსაკუთრებული კომიტეტი (ЧК). მოქმედებდა 150 ჩეკისტი — გაწვრთნილი ბანდიტი და კაცისმკვლელი. ისინი დაერივნენ სამღვდელოებას, მოსახლეობას (ნეპის პერიოდი იყო), ორგანიზაციებს და მოახდინეს ძვირფასეულობის ექსპროპრირება. ამ უნიკალური ნივთების ნაწილი დღემდე ინახება საცავში, რომელსაც ალმასის ფონდი ეწოდება.

— ეს გზა სისხლითაა მორწყული და ჩვენ არ გამოგვადგება — გვეუბნება ბატონი მიხეილი — ჩვენი საცავი უნდა იყოს სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ექნება მონოპოლია ძვირფას ლითონებსა და თვლებზე. არ შეიძლება ძვირფასი ლითონების მოპოვება და გადამუშავება ხელში ჩავუგდოთ კერძო რეწვას. სახელმწიფომ არ უნდა დაკარგოს კონტროლი მათს მოპოვებასა და გადამუშავებაზე. საცავი უნდა იყოს ძალზე დინამიური ორგანიზაცია, რომელიც განაგებს ძვირფას ლითონებთან დაკავშირებულ ყველა საქმეს — მათ მოპოვებას, გადამუშავებას, გაცემას, მიღებას, შენახვას, რეალიზაციას — ყოველივე ეს უნდა იყოს თავმოყრილი ერთ ორგანიზაციაში, რათა არ შეიქმნას უწყებრივი ბარიერები, რაც ხელს შეუშლის ნორმალურ მუშაობას, რაც მთავარია, საცავი უნდა იყოს კარგად დაცული, შემთხვევითმა პირმა მასში ვერ უნდა შეაღწიოს.

ბატონ დემურ დვალიშვილის დავალებით ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა მუშა ჯგუფი ბატონ ნუკრი ვახტანგიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეადგინა საცავის წესდების პროექტი, ამასთან მინისტრთა საბჭომ 1980 წ. 5.IX გამოსცა № 477 დადგენილება „საქართველოში სახელმწიფო ფასეულობათა საცავის შექმნის შესახებ."

დაიწერა წესდება, რომლის დამტკიცებაც ვერ მოესწრო.

1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ საქართველოში დაემხო საბჭოთა ხელისუფლება. ახალმა ხელისუფლებამ წესდება დაამტკიცა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბ-ნი ტარიელ გენლაშვილი დაინტერესდა პროექტით. „მე მაშინ შევთავაზე ბატონ ტარიელს, რომ, ამ საცავის ბაზა აუცილებლად უნდა იყოს ჩვენი ორგანიზაცია", — გვითხრა ბატონმა მიხეილმა. „ცენტრს არ აწყობს მოგვცეს ჩვენი წილი, იგი არ წავა მოლაპარაკებაზე. ხედავს, რომ საქართველო თავისუფლებისაკენ ისწრაფვის, იგი არ დაგვითმობს ჩვენს ოქროს, არ მოგვცემს უფლებას საკუთარი ოქრო და ვერცხლი ჩვენვე მოვიპოვოთ და გადავამუშაოთ.

ბოლნისის რაიონის სოფ. კაზრეთში არის მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი, მისი დირექტორია ბატონი ვახტანგ სულამანიძე. აქ ამუშავებენ სპილენძის მადნებს, მაგრამ სადაც სპილენძია, იქ არის ოქროც და ვერცხლიც. ეს მადნები თავის სპილენძ-ოქრო-ვერცხლიანად დღესაც გადის ჩვენი რესპუბლიკიდან.

გვეკარგება ძვირფასი ლითონის რაოდენობა, რაც სრულიად საკმარისია ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მადნეულის გამამდიდრებელ კომბინატშივე უნდა მოხდეს ოქროსა და ვერცხლის გადამუშავება, ამავე კომბინატის ბაზაზე უნდა დაინერგოს აფინაჟის წარმოება (ოქროსა და ვერცხლის გამოცალკევება). მართალია, ამის სპეციალისტები ჩვენ არა გვყავს, მაგრამ გაუკეთებელი არაფერია.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე უნდა მოხდეს მადნეულში მოპოვებული კვარცტული მადნის გადამუშავება. ეს ნაბიჯი ქარხნის დირექტორმა, ბ-მა გურამ ქაშაკაშვილმა უნდა გადადგას. ამავე ქარხანაში უნდა შეიქმნას ძვირფასი ლითონების სპეცშენადნობების საამქრო, აგრეთვე მეორადი ნედლეულის, ანუ ნარჩენების გადამუშავების საამქრო. ქარხანაში არიან კარგი სპეციალისტები, კვალიფიციური ქიმიკოსები, მუშათა კოლექტივი, ისინი ადვილად გაართმევენ თავს ამ საქმეს. მეორადი გადამუშავების საამქრო გადაამუშავებს ასევე ლომბარდისა და სხვა შესყიდულ ნაწარმს. ამ საამქროდან უნდა მიიღონ ზესუფთა ოქრო და ვერცხლი, დამზადებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. იგი დაიდება საცავში და გაიცემა მთავრობის განკარგულებით დანიშნულებისამებრ. ეს ფონდი მოგვცემს შესაძლებლობას ვაწარმოოთ სავალუტო ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან. ამისათვის კი საჭიროა ანალიტიკური ლაბორატორია, სპეციალისტები. ჩვენ გვყავს კარგი ქიმიკოსები, ანალიტიკოსები, ასე რომ სპეციალისტების მხრიდან ამ დიდ ეროვნულ საქმეს შეფერხება არ ექნება.

აუცილებელია ეროვნული ოქრომჭედლობის განვითარება, ხელოვნების ეს შესანიშნავი დარგი დღეს ფაქტიურად მკვდარია. შემოგვრჩა თითზე ჩამოსათვლელი ოსტატები, საჭიროა მათი აღორძინება. ნორმატიული აქტები ოქრომჭედლობის ოსტატთათვის ძალზე დამამძიმებელია. დღეს ოქრომჭედელი არ არის დაინტერესებული შექმნას ის, რაც ხელეწიფება, მან კანონიერად უნდა აუნაზღაურდეს შრომის საფასური. ამის მოგვარება და ქართული ოქრომჭედლობის აღორძინება საშური საქმეა და რა თქმა უნდა, დაუძლეველი აქ არაფერია. საჭიროა ისეთი ინსტრუქციები შეიქმნას, სადაც ოსტატთა ინტერესები იქნება გათვალისწინებული.

ეს ყოველივე ჩვენ ჩამოვაყალიბეთ წერილობით და წარვუდგინეთ ბატონ ტარიელ გენლაშვილს.

რამოდენიმე კვირის წინ უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა წესდება საქართველოს ეროვნული ფონდის შესახებ. პატარა ნაბიჯი გადაიდგა წინ. მაგრამ ბატონმა ტარიელმა ეს ისე წარმოადგინა, თითქოს ყოველივე მხოლოდ უზენაესი საბჭოს მუშაობის შედეგი იყოს. ბატონ გურამ აბსანძეს (საქ. ფინანსთა მინისტრი) ვკითხეთ, როგორ ფიქრობენ მუშაობის გაგრძელებას, მან გვიპასუხა, რომ იგი ვერ გაგვანდობს თავის ჩანაფიქრს.

ჩვენ არ გვინდა ვინმე რამეში დავადანაშაულოთ. დღეს საქართველოს წინაშე სხვა უფრო მტკივნეული პრობლემები დგას და ყველაფერი ერთად არ გადაიჭრება, მაგრამ პირადად მე ვგრძნობ დიდ უნდობლობას როგორც ჩემი პიროვნების, ასევე ჩემი ორგანიზაციის მიმართ. ბატონი გურამი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ ნუკრი ვახტანგიშვილმა და მე შევიმუშავეთ საცავის მეტად რთული გეგმა, მან კი სამივე შეხვედრის დროს 1-2 წუთის მეტი არ დაგვითმო. ბატონი მინისტრი რატომღაც სხვადასხვა სამმართველოებს ავალებს იმ საკითხების მოგვარებას, რომლებიც ჩვენ გვეხება, ისინი კი, ბუნებრივია, ჩვენს მოვალეობას დასახმარებლად. არადა ჩვენს მიერ დასმული სინჯი ყოველთვის უტყუარია. ჩვენ ნდობა ჩვენი საქმით დავიმსახურეთ.

მომავალ კვირას უნდა ჩამოვიდეს სსრკ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი იმის გასარკვევად, თუ რა ბედი ეწევა მის ორგანიზაციას აქ. იგი შეხვდება ბატონ გურამ აბსანძეს და ალბათ ყველაფერი გაირკვევა. მაგრამ დრო მიდის, ცენტრი კი „თავისას" მოითხოვს" — დაასრულა საუბარი ბატონმა მიხეილმა.




საინტერესოა, „ჩაი საქართველოდან" რატომაა „რუსული"?! თუ ვინმემ იცის, რა ჩაია ეს, რა გზებით ხვდება რუსეთში, კონკრეტულად ვინ ყიდულობს მას ინგლისელებს, ვთხოვთ, მოგვწეროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიდოდეთ ძალითი-ძალად

**მიიწურა** მეორე შვიდეული პეტრე-პავლობის მარხვისა.

როგორც მორწმუნეთათვის ცნობილია, ამ მარხვის ხანგრძლივობა სხვადასხვა წელს სხვადასხვაა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მისი დასაწყისი ცვალებადია (იწყება სულიწმიდის ორშაბათის სწორზე), დასასრული კი — კალენდარულად უძრავი — პეტრე-პავლობის დღესასწაული (ძვ. სტ. — 29 ივნისი; ახ. სტ. — 12 ივლისი). რადგანაც აღდგომისა და მასზე დამოკიდებული დღეების (მათ შორის სულიწმიდის ორშაბათის) კალენდარული მოძრაობის ამპლიტუდა ხუთ შვიდეულს შეადგენს, პეტრე-პავლობის მარხვის მინიმალური ხანგრძლივობა 8 დღით განისაზღვრება (ეს ხდება ისეთ წლებში, როდესაც აღდგომა უგვიანესია, ე. ი. ემთხვევა 25 აპრილს ძვ. სტ.), მაქსიმალური — ექვსი შვიდეულით (ეს ის წლებია, როდესაც აღდგომა სამი დღით უსწრებს ხარებას, ე. ი. 22 მარტს მოდის). როგორც ვხედავთ, წლევანდელი მარხვა მაქსიმალური ხანგრძლივობისას მხოლოდ სამი დღით ჩამორჩება.

რა სულიერი აზრი და ლიტურგიკული ფუნქცია აქვს მარხვას საზოგადოდ და თითოეულ მარხვას ცალ-ცალკე; რითია გამოწვეული მარხულობის სხვადასხვა წესები; რა კავშირი აქვს მარხვის დაცვას წმიდა საიდუმლოს ზიარებასთან, — ეს, და სხვა ამგვარი კითხვები თითქმის ყოველდღიურად ისმის ეკლესიაში.

მარხვა ეკლესიის მოძღვართა საყვარელი თემა იყო მუდამ და დღესაც ხშირად ეძღვნება მას როგორც ზეპირი ქადაგება, ისე ასკეტიკური და საღმრთისმეტყველო ხასიათის წერილები.

ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არა მარტო ქრისტიანული მარხვის არსისა და სულიერი მნიშვნელობის გარკვევას, არამედ მარხვის სახეების კლასიფიკაციას, საკვების რაოდენობისა და მისი მიღების სიხშირის ზუსტ რეგლამენტაციას, სამარხვო კანონის ინდივიდუალურ ნორმებს და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ სხვა სულიერ თემებთან შედარებით მარხვა უფრო დაწვრილებით და ზედმიწევნითაა განხილული თანამედროვე საღმრთისმეტყველო საუბრებში.

ამიტომ, შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ ისევ და ისევ მარხვის შესახებ სიტყვის გაგრძელება აღარ ღირს. მართლაცდა, — იტყვიან ისინი, — რა შეიძლება ახალი ითქვას მარხვის შესახებ? ნუთუ წმიდა და ღმერთშემოსილ მამებს, — ვრცელი ასკეტიკური თხზულებების ავტორებს — რაიმე გამორჩათ? რა საჭიროა ერთი და იმავე ციტატების დაუსრულებლად გამეორება?

საღმრთო მოძღვრების სისტემატური გამეორების საჭიროებას არაერთი წმიდა მამა აღნიშნავდა.

„ჯერ-არს ზრახვად ჩუენდა ურთიერთას, და არა დუმილი მრავალ ჟამ", — აღნიშნავდა ერთ-ერთი ქადაგების დასაწყისში წმ. თეოდორე სტოდიელი.

ამიტომ მარხვის დღეებში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა მკითხველისათვის ჭეშმარიტი მარხვის უდიდესი სულიერი მნიშვნელობა და ჩვენი საუბარი მთლიანად დაგვეფუძნებინა საღმრთო სულით განბრძნობილ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სწავლებაზე. წმ. იოვანე დამასკელის სიტყვით — „ხოლო ჩემი ვთქუა არარაჲ".

●

„მარხვა", „დამარხვა" ძველ ქართულში საზოგადო აზრით — დაცვას, შენახვას ნიშნავდა. მარხვა, როგორც საეკლესიო ჩვეულება გარკვეული კალენდარული სისტემით საკვების ნორმის პერიოდული შემცირებისა და ყოველგვარი ცხოველური საკვების გამორიცხვისა — „მარხვის" საზოგადო მნიშვნელობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულებაა, რადგანაც საკვების მოკლება და მისი მრავალფეროვნების შეზღუდვა გაიაზრება სულიერი და ხორციელი სიწმინდის **დაცვის** საშუალებად.

ქრისტიანმა წმიდად უნდა დაიცვას (დაიმარხოს) როგორც სული, გონება და გულის-სიტყვანი, ასევე ხორციც. პავლე მოციქულის სიტყვით, ქრისტეს მიერ ნათელღებულის სხეული **ღმრთის ტაძრად** გარდაიქმნება, მასში მკვიდრდება საღმრთო მადლი სულიწმიდისა, ამიტომ ჭეშმარიტი ქრისტიანი წარმოუდგენელია განწმედილი სულისა და ხორცის გარეშე.

ქრისტეს მიერ საუკუნო სიკვდილისაგან **გამოხსნილი** ადამიანები აღარ არიან „თვისთა თავთანი", ე. ი. აღარ ეკუთვნიან საკუთარ ვნებულ გულისთქმას, „რამეთუ სასყიდლით სყიდულ" არიან ქრისტეს მიერ (I კორ. 6,20). ქრისტემ გამოგვიხსნა (გამოგვისყიდა) „წყევისა მისგან სჯულისა", და დაგვამონა სიყვარულის სჯულს.

„ქრისტიანი", პირველ ყოვლისა, ქრისტეს მიმდევარს, მის კვალზე შემდგარს ნიშნავს; ამაოდ როდი ეწოდებოდა მოციქულთა დროინდელ ეკლესიას „წმიდათა კრებული" (რომ 16,15). იმ დროისათვის ქრისტიანი ვერ წარმოიდგინებოდა განწმენდილი სულისა და ხორცის გარეშე. ამიტომაც ასწავლიდა ნეტარი პავლე: „ადიდეთ უკუე ღმერთი ხორცითა მაგით თქუენითა და სულითა მაგით თქუენითა, რომელი იგი არს ღმრთისა" (I კორ. 6,21).

თითოეული მოყვასის სულიერი აღშენება-აღორძინება წმიდა ეკლესიის უმთავრესი საზრუნავი იყო. წმიდა და ღმერთშემოსილი მამები თავისი ქადაგებით, წმიდა ლოცვით, პირადი ცხოვრებისეული მაგალითით, სიყვარულითა და მოწყალებით აღაშენებდნენ და დღესაც აღაშენებენ მორწმუნეთა სულებს კეთილისადმი წარსამატებლად.

სულიერი განწმედა და ამაღლება მხოლოდ ისეთ მოშურნე მორწმუნეთ ძალუძთ, რომელნიც ყოველივე ღონისძიებით, „ძალითი-ძალად" ესწრაფვიან მას. სწორედ ისინი, „ვითარცა ლოდნი ცხოველნი, აღეშენებიან სახლად სულიერად, სამღდელოდ წმიდად" (I პეტრე 2,5). დავით წინასწარმეტყველის თქმით — „ვიდოდიან იგინი ძალითი-ძალად და გამოუჩნდეს მათ ღმერთი ღმერთთა სიონს" (ფს. 83,8). ღმერთს, საუფლო სიტყვით, იხილავენ „წმიდანი გულითა" (მათე 5,8). გულის განწმედა კი „ძალითი-ძალად აღსლვით", ე. ი. ყოველგვარი ძალისხმევით, თანდათანობითი და განუწყვეტელი ამაღლებით ყოფილა შესაძლებელი. ასეთ სულიერ აღზრდას პეტრე მოციქული „უზაკველი სძის" მიღებას ადარებს (I პეტ. 2,2). ეს კი, ოქროპირის თქმით, არის „თავად-თავადი მუხლედობა" საუფლო მოძღვრებისა, რომელსაც წმ. სახარებით ვეცნობით: „მიუტევეთ და მოგეტევნენ; ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ" (ლუკა 6,37). ეს და სხვა ამგვარი უნდა შეითვისოს „ქრისტეს მიერ ჩვილმა", ე. ი. ახალბედამ, ქრისტიანობის ახალნერგმა, „რათა მარტიობითა და მუხლედობითა ადვილ იყოს მისსა სასწავლად, რამეთუ დალაცათუ სრულებაჲ (სრულყოფა) ჩუენი ჰნებავს საღმრთოსა შჯულსა, არამედ მცირედ-მცირედ აღზრდითა და ძალითი-ძალად აღსლვითა" (კათოლიკე ეპისტოლეთა განმარტება; I პეტრე 2,1-2). ყოველდღიური სულიერი განვითარების საჭიროებას აღნიშნავს წმ. ბასილი დიდი, რომელიც ჟამის-შემწირველ მღვდელს ამცნებს ლოცვას: „ძალითი-ძალად მოსრულნი ჩუენ ცოდვილნი და უღირსნი მონანი შენნი უგალობთ მეუფებასა შენსა, ქრისტე ღმერთო ჩუენო" (ჟამისწირვა).

„ძალითი-ძალად აღსლვის" ერთ-ერთი უძლიერესი საშუალებაა დამარხვა სიწმიდისა, განწმედა სულისა და ხორცისა.

მაგრამ სანამ უშუალოდ საზრდელის მოკლებასა და ცხოველური საკვების აკრძალვას შევუდგებოდეთ, ჯერ უნდა გავიაზროთ წმ. მარხვა, როგორც სულიერი და ხორციელი განწმედის, სიმდაბლისა და სიყვარულის მოპოვების „ძალითი-ძალად აღსლვის" საშუალება. სხვანაირად, გამორიცხული არ იქნება, რომ მარხვისადმი ბრმა მოშურნეობამ საპირისპირო შედეგი გამოიღოს და ღმრთივ-სათნო სიმდაბლისა და სიყვარულის ნაცვლად ამპარტავნება და ქედმაღლობა აღორძინოს ადამიანის სულში.

წმ. იოვანე ოქროპირის სიტყვით, ვინც არ მარხულობს, იგი უსათუოდ როდი წარწყმდება. ზოგჯერ ასეთები უფრო იმსახურებენ ღმრთისაგან შენდობას („რამეთუ აჩუენებს უძლურებასა გუამისა თვისისასა"), ვიდრე მმარხველი, რომელიც მარტოოდენ საზრდელის მოკლებასა და ხორცის აკრძალვაზე ზრუნავს, ხოლო ცოდვებისაგან კი არ განუწმედია სული. ამ უკანასკნელთ, წმიდა მღვდელთმთავრის სიტყვით, „არა აქუს სიტყვის გებაჲ", ე. ი. თავს ვერაფრით იმართლებენ.

მარხვის სიწმიდე, როგორც საღმრთო წერილი გვასწავლის, იზომება არა მისი სიფიცხლითა და განგრძობილობით, არამედ სულის განწმედითა და სიმდაბლის შეძენით. საზრდელის მოკლება მხოლოდ **საშუალებაა სიწმიდის დამარხვისა, და არა თვითმიზანი.**

მარხვა, როგორც სიმდაბლის სახე, წამალია სულიერი სნეულებისა — ამპარტავნებისა, და თუ იგი ამ დანიშნულებას ვერ ასრულებს, **უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს.** მეტიც, მას ზოგჯერ ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ბრმა მოშურნისათვის. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც მმარხველნი თავს იწონებენ თავისი კეთილმსახურებით, სხვებს კი დასცინიან — „სულიერება არ გაგაჩნიათ; მარხვაში ურცხვად შეექცევით ყველსა და კარაქსაო". ასეთ შემთხვევებში, როგორც ვხედავთ, მზვაობრობას მთლიანად წყალში ჩაუყრია მარხულობის ღვაწლი. თუკი მმარხველი არ შეიძენს სიმდაბლესა და სხვა საღმრთო სათნოებებს, ოქროპირის თქმით, თურმე „ამაოდ დაყმა (დაიმშია) მუცელი მისი".

●

მართალთა ცხოვრებისათვის მარხვის უდიდესი მნიშვნელობა განპირობებულია მისი თანმხლები სინანულით და სულიერი ტრაპეზის მოზიარეობით.

როდესაც ადამიანი ვისმე გლოვობს, წარმოუდგენელია, ნაყროვანებამ და შვება-განცხრომამ გაიტაცოს იგი. იგივე ითქმის ისეთ გლოვაზეც, როდესაც ადამიანი საკუთარ ცოდვებს ინანიებს. მონანული მწარედ დასტირის დაკარგულ უბიწოებას. გრძნობს, რომ ცოდვათა სიმრავლე იგი სიკვდილთან დააახლოვა.

საღმრთო წერილში მრავალი მაგალითია იმისა, თუ როგორ მარხულობდნენ ძველი აღთქმის მამათმთავრები და წინასწარმეტყველნი, აგრეთვე უბრალო ხალხი. მონანულნი უარს ამბობდნენ ცხოველურ საკვებზე (ანდა სრულიად შიმშილობდნენ), გლოვის ნიშნად თავზე ნაცარს იყრიდნენ, ძაძით იმოსებოდნენ და ამგვარად **იმდაბლებდნენ** თავს უფლის წინაშე. უფალი კი, „რომელი იმარხავნ ჭეშმარიტებასა უკუნისამდე, ყვის სამართალი ვნებულთა და სცის საზრდელი მშიერთა, რომელმან განჰხსნნის კრულნი და აღმართნის დაცემულნი" (ფს. 145, 7-8), ყოველთვის სწყალობდა მგლოვიარეთ.

საყოველთაო მარხულობის ერთ-ერთი შთამბეჭდავი მაგალითია ნინეველთა მარხვა. როდესაც იონა წინასწარმეტყველმა ნინევის დაქცევა იწინასწარმეტყველა, ქალაქის მცხოვრებთ ირწმუნეს მისი, „ქადაგეს მარხვაჲ და შეიმოსეს ძაძაჲ დიდითგან მათით, ვიდრე მცირედ მათდა" (იონა 3,5).

საყოველთაო მარხვას ნინევის მეფეც შეუერთდა. იგი „აღდგა საყდრისაგან თვისისა და მოიძარცვა შესამოსელი მისი მისგან, და გარე-შემოირტყა ძაძაჲ და დაჯდა ნაცარსა ზედა" (3,6). მისი განკარგულებით, ცხვარ-ძროხისთვისაც არაფერი უნდა ეჭმიათ, და არც წყალი ესმიათ.

ნინეველთა მარხულობა მარტოდენ მათი გარეგანი მოქმედებით არ შემოფარგლულა. თითოეულმა მათგანმა „მოაქცია გზისაგან თვისისა ბოროტისა და სიცრუისაგან ხელთა მათთა შინაჲსა" (3,8), რითაც უფლის გულისწყრომის დაცხრობას იმედოვნებდნენ.

მართლაც, ღმერთმა იხილა ნინეველთა მოქცევა და ის განსაცდელი, რომელიც ამ ქალაქისათვის იყო გამზადებული, თავიდან აცილა.

მაღალთა შინა მყოფი მდაბალთ ყოველთვის სწყალობს. „ღმერთი ამპარტავანთა შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი" (I პეტრე 5,5). მმარხველისა და დამდაბლებულის ღაღადება იოლად აღწევს ღმერთამდე, მაგრამ, ამასთანავე, თუკი მარხვა მარტოოდენ გარეგნული გამოხატულებით შემოიფარგლა და ღმრთის ნებას არ დაემორჩილა მმარხველი (ქველის-საქმითა და სიმართლით), ასეთი დამდაბლება შეწყნარებული არ იქნება:

„არა ესე მარხვაჲ გამოვირჩიე და დღე დამდაბლებისა კაცისა სულისა თვისისა, არცა მო-თუ-იდრიკო, ვითარცა გრკალი, ქედი შენი, და ძაძაი და ნაცარი დაირეცი, **არცა ეგრეთ ეწოდოს მარხვაჲ შეწყნარებული** და დღე სათნოი უფლისაჲ. არა ეგევითარი მარხვა გამოვირჩიე მე, — იტყვის უფალი, — არამედ **განხსენ ყოველი საკრველი სიცრუისა, დაარღვიენ გულარძნილებანი** მძლავრებითთა თანაცვალებათანი, განავლინენ შეპყრობილნი მიტევებით და ყოველი აღწერილი უსამართლოჲ განხეთქე. დაუგე მშიერსა პური შენი და გლახაკნი უსართულონი შეიყვანენ სახიდ შენდა; იხილო თუ შიშველი, შეჰმოსე და **თვისთაგანი თესლისა შენისათა** არა უგულებელს-ჰყო. მაშინ განეფინოს მსთუად ნათელი შენი, და კურნებანი შენნი მალე აღმოჰხდნენ და წინა-გვიდოდეს წინაშე შენსა სიმართლე შენი, და დიდებამან ღმრთისამან გარე-შეგიცვას შენ" (ესაია 58, 5-8).

მაშასადამე, მარტოოდენ შიმშილი, შავების ჩაცმა თუ ნაცრის წაყრა, რკალივით მოდრეკა თუ მიწამდე თაყვანისცემა შეწყნარებულ მარხვად არ ითვლება უფლის წინაშე. მარხვის ღვაწლი მხოლოდ მართალ და წმიდა ადამიანებს აღამაღლებს.

„საკრველი სიცრუისა" ანუ სიცრუის ბორკილი ადამიანს უშლის ჭეშმარიტებასთან მისვლას და მის მსახურებას. ადამიანმა უნდა დაძლიოს სიცრუე, ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვას მის მსახურებაზე, „განხსნას ყოველი საკრველი სიცრუისა", გააუქმოს და მოსპოს ყოველი უსამართლო წერილი. გაჭირვებულთა მწუხარე შეწევნით (მშიერთა დაპურება, უსახლკაროთა სტუმრობა, შიშველთა შემოსვა...) მოიპოვებს ადამიანი საღმრთო დიდებას; მის ყოველ ნამოქმედარს სიმართლე გაუძღვება წინ.

„მაშინ ჰხმა-ჰყო და ღმერთმან ისმინოს შენი. მერე იტყოდილა შენ, გრქუას: აჰა, აქა ვარ. უკეთუ მოსპო შენგან საკრველი და ხელის დადება და სიტყუა დრტვინვისა" (ესაია 58,9). ე. ი. როდესაც ადამიანი აღიარებს საღმრთო ნების უზენაესობას საკუთარი ნების წინაშე, მოიხსნის სიცრუის ბორკილს, თავს დაანებებს დრტვინვას ღმრთის ბრძანების წინააღმდეგ, — ღმერთი მეყსეულად შეისმენს მის მოწოდებას, წარმოუდგება და ეტყვის: „აჰა აქა ვარ". იოვანე მახარებლის სიტყვითაც — „ცოდვილისაჲ არა ისმინის ღმერთმან, არამედ უკეთუ ვინმე არნ ღმრთის-მსახურ და ნებასა ღმრთისასა ჰყოფნ, ამისი ისმინის ღმერთმან" (იოვანე 9,31).

მთაზე წარმოთქმულ ქადაგებაში უფალი ამხილებს ფარისევლებს, რომლებიც მარხვის გარეგნული გამოხატულებით ცდილობდნენ შეექმნათ აზრი მათი კეთილმსახურების შესახებ და ამით საზოგადოების პატივისცემა მოეპოვებინათ. იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ასწავლის, რომ არ მიემსგავსონ თვალთმაქც ფარისევლებს. ის კი არაა ფასეული, რომ საზოგადოებამ ღმრთისმსახურად და მმარხველად მიგიჩნიოს, არამედ ღმერთმა, „რომელი ხედავს დაფარულთა" (მათე 6,18), შეიწიროს შენი მსახურება და ქველის-მოქმედება.

ქრისტიანული მოძღვრებისათვის უცხოა ფარისევლური მიდგომა ღმრთისმსახურების საკითხებთან. მარხვა, საეკლესიო რიტუალების შესრულება და სხვა ქველის-საქმე ადამიანს ესაჭიროება არა თავმოსაწონებლად კაცთა წინაშე, არამედ ღმერთთან დასაახლოებლად. როდესაც ღმრთისმსახურების უმთავრესი შინაარსი უკანა პლანზე ინაცვლებს და მორწმუნეთა საქმიანობაში ფორმალიზმი მძლავრობს, ასეთი კრებული ვერ დაუახლოვდება ქრისტეს, რომელმაც ბრძანა: „არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა" (მათე 15, 11). ებრაელ ხუცესთა მოძღვრებით, რომელიც ყოველი საეკლესიო თუ საყოფაცხოვრებო რიტუალის მკაცრ რეგლამენტს აწესებდა (ღმრთისმსახურების უმთავრესი შინაარსის საზიანოდ), ქრისტე და მისი მოწაფენი განკითხვის ღირსად შეირაცხნენ, „რამეთუ არა დაიბანნიან ხელნი, რაჟამს პურსა ჰჭამედ".

ფანატიკურმა მიდგომამ შეიძლება უსარგებლო გახადოს თვით ისეთი მნიშვნელოვანი საშუალება სულიერი და ხორციელი განწმედისა, როგორიც მარხვაა.

საღმრთო მოძღვრების ბურჯი, „მჰურინავი ეკლესიისა" — პავლე მოციქული მარხვის უპირველეს მიზნად მოყვასის „აღშენებას" (სარწმუნოებრივ აღორძინებას) მიიჩნევს. როგორც კომენტატორები გვაუწყებენ, ჰურიაობიდან მოქცეული ქრისტიანები თავდაპირველად ერიდებოდნენ ისეთ საჭმელებს, რომელთა აკრძალვასაც თავისი ძველი სჯულის მიხედვით იყვნენ შეჩვეულნი. მათ, როგორც ჩანს, ეძნელებოდათ ძველი სჯულის ერთბაშად დატოვება, და ეძაგებოდათ ღორის ხორცი და ზოგიერთი სხვა საჭმელი. ამის გამო მორწმუნეთა შორის მათ ხშირად განიკითხავდნენ. ჰურიაათაგან მოქცეულნი, იმისათვის, რათა განკითხვისაგან თავი დაეღწიათ, ასეთ ხერხს მიმართეს: სავსებით უარი თქვეს ხორცზე და მხოლოდ სამარხვოს (მხალს) ჭამდნენ, რათა ღორის ხორცის უჭმელობა მარხვად შერაცხოდათ და არა ჰურიათა სჯულის დამარხვად. ზოგიერთი მოქცეული ებრაელი, რომელიც უფრო განმტკიცებული იყო ქრისტიანულ სარწმუნოებაში და „არღარა აქუნდა ჰურიაებრივი რიდობაჲ", ღორის ხორცს შეექცეოდა. პავლე მოციქული არამჭამელს „სარწმუნოებით უძლურს" უწოდებს, მაგრამ სარწმუნოებაში განმტკიცებულთ („რომელთა ჰრწამნ ჭამად ყოველი") უკრძალავდა მათ განკითხვას: „უძლური იგი სარწმუნოებითა — შეიწყნარეთ; ნუ ორგულებითა და გულის სიტყვითა"-ო (რომ. 14,1). მოყვასის განკითხვას უკრძალავდა იგი აგრეთვე არამჭამელთ, რომლებიც მჭამელთ ნაყროვნებად მიიჩნევდნენ. მიუღებელი იყო „უმეტესად მმარხველთა" მიერ მცირედ მმარხველთა განკითხვაც (ზოგი მმარხველი დღე-გამოშვებით მარხულობდა, ზოგიც ყოველ დღე. იხ. იქვე 14,5), რადგან უფალი თითოეულის ღვაწლს მათივე შესაძლებლობის მიხედვით შეიწყნარებს და „კაცად-კაცადმან ჩუენმან თავისა თვისისათვის სიტყუა უგოს ღმერთსა" (იქვე 14,12).

ურთიერთ-განკითხვა დამაბრკოლებელი იყო მჭამელთათვის და არამჭამელთათვისაც. როდესაც მტკიცედ მორწმუნენი აყვედრებდნენ არამჭამელთ, ძველი სჯულის ერთგულებით ამბობთ უარს ხორცის ჭამაზე და მარხვა მხოლოდ საბაბიაო, ამაში პავლე მოციქული ხედავდა საშიშროებას, რომ სარწმუნოებით უძლურნი სრულიად ჩამოშორებოდნენ ქრისტიანთა კრებულს. იგი ასწავლიდა, რომ თავისთავად მიუღებელი არაფერია ხორცის ჭამაში (რომ. 14,14), მაგრამ თუ ნახე, რომ შენი მოყვასი ამით დაბრკოლდება, არათუ არ უნდა განიკითხო იგი, არამედ მისი თანდასწრებით ჭამასაც უნდა მოერიდოო: „ნუ საჭმლითა შენითა მას წარსწყმედ, რომლისათვის ქრისტე მოკუდა, და ნუმცა იგმობვის კეთილი იგი თქუენი, რამეთუ არა არს სასუფეველი ღმრთისაჲ საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდითა" (რომ, 14, 15-17).

მაშასადამე, კეთილმსახურება იქნებოდა არა ის, რომ ხორციელ საკვებთან დაკავშირებული ცრურწმენების მხილების საბაბით მოყვასი დაგვებრკოლებინა, არამედ გვეზრუნა მის სარწმუნოებრივ განმტკიცებაზე. „მშვიდობასა უკუე შეუდეგით და აღშენებასა ურთიერთას", — ასწავლიდა მოციქული (რომ. 14,19). მისივე სიტყვით, მარტოოდენ საჭმელ-სამელი ვერ წარგვადგენს უფალთან (I კორ. 8,8), თუკი მოყვასის სარწმუნოებისათვის დაბრკოლებად გადავიქეცით. ჩვენი სარწმუნოებრივი სიმტკიცე სწორედ იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ მცირედ-მორწმუნეთა უძლურება ვიტვირთოთ (რომ. 15,1). ამიტომ, თუმცა მოციქული ყოველგვარი საკვების მიღებას ამართლებდა, იგი მაინც მზად იყო, ხორცი არასოდეს ეჭამა, ოღონდ მცირედ მორწმუნენი არ დაბრკოლებულიყვნენ (I კორ. 8,13) მართალია, ღორის ხორცისა და ზოგიერთი სხვა საჭმლის აკრძალვა ჰურიაობიდან მოქცეულ მცირედ მორწმუნეთა ცდომილება იყო, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა ნეტარ პავლეს თვითმიზნად არ გამოუცხადებია. ამ, და სხვა რიტუალურ-საწესჩვეულებო საკითხებში დათმობა ღმრთივრჩეულ მოციქულს არად მიაჩნდა, რადგან მისთვის მოყვასის სარწმუნოებრივი აღორძინება ყოველგვარ წეს-ჩვეულებაზე ფასეული იყო.

წმ. ეკლესიის მიერ დაწესებული მარხვაც, ჩვენ, მართლმორწმუნეთ, თვითმიზნად კი არ უნდა მიგვაჩნდეს, არამედ სულიერი და ხორციელი განწმენდის „ძალითი-ძალად აღსლვის" საშუალებად, საღმრთო მოღვაწეობისა და ქველის-მოქმედების ასპარეზად.

ევ. ქლოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

## ანარქიზმი

**ანარქიზმის** იდეოლოგიამ და პრაქტიკამ თავისი ბრძოლის ტაქტიკად ბოლოს ტერორი აირჩია. ამით შეილახა კიდეც მისი ავტორიტეტი ხალხში, ხოლო სიტყვა „ანარქიზმი" უწესრიგობის სინონიმად იქცა. თავიდან კი ასე არ იყო.

ანარქიზმი ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას, პოლიტიკური ორგანიზაციის ყოველგვარ ფორმას, ქადაგებს პიროვნების აბსოლუტურ თავისუფლებას და მოითხოვს მეწარმეთა წვრილი ავტონომიური ასოციაციების ფედერაციის შექმნას.

ანარქიზმი არის აგრეთვე ადამიანთა შორის ზოგადად მიღებული წესების უარყოფა.

ტერმინი ანარქიზმი მოდის ბერძნული სიტყვიდან „არქია" — ხელისუფლება, „ან" უარყოფითი ნაწილაკია, ე. ი. უხელისუფლებობა. ეს სიტყვა პირველად იხმარა ანარქიზმის ერთ-ერთმა თეორეტიკოსმა **პიერ ჟოზეფ პრუდონმა** თავის ნაშრომში „რა არის საკუთრება" (1840 წ.). ამის შემდეგ ეს ტერმინი ფართოდ გავრცელდა და გარკვეული მეტამორფოზებიც განიცადა.

ანარქიზმი, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგია, XIX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრინციპები პირველად ინგლისელმა ფილოსოფოსმა და მწერალმა **უილიამ გოდუინმა** ჩამოაყალიბა. იგი საერთოდ უტოპიური სოციალიზმის აპოლოგეტი იყო. მოითხოვდა საზოგადოების ანარქისტულ, წვრილ თემებად დაშლას.

ანარქიზმის ძირითადი თეორიული დებულებები გამოთქვეს: გერმანელმა ფილოსოფოსმა **მაქს შტირნერმა**, ფრანგმა სოციალისტმა **პრუდონმა** და სხვებმა. პოლიტიკურ მიმართულებად აქცია თვალსაჩინო რუსმა ანარქისტმა მიხეილ ბაკუნინმა. ანარქიზმის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ **ე. რეკლიუ, პ. კროპოტკინი** და სხვები.

საქართველოში ანარქისტული მოძრაობის სათავეში იდგნენ **ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი და შალვა გოგელიები.**

ანარქიზმის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფიგურაა მაქს შტირნერი. ენგელსი მას „თანამედროვე ანარქიზმის წინასწარმეტყველს" ეძახდა. რევიზიონიზმის იდეოლოგ ბერნშტაინის აზრით, მ. შტირნერია „ყველაზე თანმიმდევრული ყველა ანარქისტს შორის". ამ მტკიცებებთან ერთად სხვა მოსაზრებაც არსებობს: ანარქიზმის ერთ-ერთი ისტორიკოსი **ლუიჯი ფაბრი** სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევს გ. პლეხანოვის, ე. ცოკოლის და სხვათა აზრს იმაზე, რომ შტირნერის ანარქიზმის მამა. ამავე აზრისანი არიან შტირნერის „ერთადერთი და მისი საკუთრების" რუსულ ენაზე მთარგმნელები და კომენტატორები.

მ. შტირნერი ინდივიდუალისტური ანარქიზმის წარმომადგენელია. „ერთადერთი და მისი საკუთრების" (1845 წ.) ავტორი არსად არ ხმარობს ტერმინ ანარქიზმს, მაგრამ მისი წიგნის შინაარსი ესაა ყველაზე თანმიმდევრული ანარქისტული დოქტრინა, რაც კი ლიტერატურამ იცის. მან სოციალური ორგანიზმი უმცირეს ნაწილაკებად დაშალა. განდიდების მანიით აღჭურვა ცალკეული ინდივიდი, კონკრეტული „მე". კაცობრიობის ამგვარი სოციალური ატომიზირება მხოლოდ ცალკეული ფანტასტების გონებაში თუ რჩება, ჩვენს გარემო სოციალურ სინამდვილეში კი მას ხანგრძლივი არსებობა არ უწერია. „ეგოიზმის მოციქული" უმნიშვნელოვანეს მოვლენად დარჩა ანარქიზმის ისტორიაში.

შტირნერთან ერთად ანარქიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსია აგრეთვე პ. პრუდონი. მას უკავშირდება ანარქისტული აზრის ორი მთავარი მიმართულება: ინდივიდუალისტური და კომუნისტური.

პრუდონი უარყოფდა სახელმწიფოს, როგორც ძალადობის იარაღს. მოითხოვდა თავისუფალ საზოგადოებათა კონფედერაციას თავისუფალ შეთანხმებათა საფუძველზე. იგი, ისევე როგორც გოდუინი, უარყოფდა საკუთრებას. მხარს უჭერდა გლეხებისათვის მიწის გადაცემას. თავს ესხმოდა კომუნიზმს. დამუშავებული აქვს სახელმწიფოს ლიკვიდაციის ანარქისტული იდეები.

1844 წელს პარიზში პრუდონს დაუახლოვდა რუსული ანარქიზმის მამა მიხეილ ბაკუნინი. ბაკუნინმა ანარქიზმი პოლიტიკურ მიმდინარეობად აქცია. იგი ყოველგვარ სახელმწიფოებრიობას უარყოფს, რადგან მიაჩნია, რომ სახელმწიფოა მასების ჩაგვრის, ყოველგვარი სოციალური ბოროტების წყარო: „მშრომელი მასებისათვის ყველანაირი სახელმწიფო ყოველთვის საპყრობილე იქნება", წერდა იგი. პოლიტიკური ორგანიზაციის პრინციპად ანარქიასა და ფედერალიზმს მიიჩნევს. ბაკუნინმა ღრმა კვალი დატოვა რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში და ასევე დიდი გავლენა მოახდინა ქართველ ანარქისტებზეც.

მეორე დიდი რუსი ანარქისტის პ. კროპოტკინის იდეალი ანარქიული კომუნიზმი იყო. ილაშქრებდა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. ეროვნულ საკითხში იცავდა ფედერალიზმის იდეას.

საერთოდ, რუსულ საზოგადოებაში ძლიერი იყო ანარქიზმისადმი ინტერესი.

კროპოტკინთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველი ანარქისტების თვალსაჩინო წარმომადგენელს ვ. ჩერქეზიშვილს. ისინი ინგლისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ — თანამშრომლობდნენ ანარქისტული მიმართულების ჟურნალში. მათ, აგრეთვე, იცნობდა და იზიარებდა მათ შეხედულებებს ცნობილი ქართველი ანარქისტი მიხაკო წერეთელიც.

საქართველოში XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩაისახა ანარქიზმის იდეოლოგია. XX ს. დასაწყისში ჩნდებიან ანარქისტული ჯგუფები, რომლებმაც კიდევ უფრო გააქტიურეს თავიანთი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ანარქისტთა დიდი ნაწილი საზღვარგარეთ მოღვაწეობდა და უშუალოდ იყო დაკავშირებული ევროპელ და რუს ანარქისტებთან.

ქართველ ანარქისტთა მეთაურად ვარლამ ჩერქეზიშვილი ითვლება. ის საერთაშორისო ანარქიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელიცაა. მისი შრომები თარგმნილია უცხო ენებზე. მის ნაშრომთაგან უმნიშვნელოვანესია „მარქსიზმის დოქტრინები" (1903 წ.).

ქართული ანარქიზმის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელია მიხაკო წერეთელი. იგი ლონდონში გაეცნო ვ. ჩერქეზიშვილს და პ. კროპოტკინს, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მასზე. მის ნაშრომთაგან მთავარია „ერი და კაცობრიობა" (1910 წ.), რომელიც ამასწინათ ხელახლა გამოიცა. მ. წერეთელი აქტიურად მოღვაწეობდა აგრეთვე ქართულ პრესაში („ნობათი", „მუშა"). მის მოღვაწეობას დიდად აფასებდა ივ. ჯავახიშვილი.

1906-7 წ.წ. იბეჭდებოდა ი. სტალინის „ანარქიზმი თუ სოციალიზმი", რომელიც ქართველი ანარქისტების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ქართული ანარქიზმის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ, აგრეთვე, გიორგი და შალვა გოგელიებს.

ქართველი ანარქისტები უარყოფდნენ საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების არსებობას. იდგნენ იდეალისტურ პოზიციებზე. ევროპელ და რუს თანამოაზრეებთან ერთად თავიანთი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის მთავარ მიზნად მიაჩნდათ ადამიანის განთავისუფლება ყოველგვარი ძალადობისგან. უარყოფდნენ პიროვნების დამთრგუნველ აპარატს — სახელმწიფოს და, საერთოდ, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ პიროვნების თავისუფლებას. მათი აზრით, მხოლოდ თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებას შეუძლია პროგრესის გზით სვლა. სასტიკად ებრძოდნენ პროლეტარიატის დიქტატურას. ვ. ჩერქეზიშვილი აკრიტიკებდა კ. მარქსის შეხედულებას პროლეტარიატის დიქტატურის დროებითი ხასიათის შესახებ. გმობდნენ ცენტრალიზმს. იცავდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის იდეას. გამოდიოდნენ აგრეთვე ყოველგვარი სახელმწიფოს და კანონის წინააღმდეგ. ანარქისტების მიერ სახელმწიფოს იდეის უარყოფა ეწინააღმდეგებოდა კაცობრიობის ბუნებრივ ისტორიული განვითარების პროცესს; ყველა ერის უმაღლესი მიზანი სწორედ სახელმწიფოს შექმნაა.

ეროვნული საკითხისადმი ქართველი ანარქისტების დამოკიდებულება განსხვავდება ერთმანეთისგან. ვ. ჩერქეზიშვილს და მ. წერეთელს პატრიოტული პოზიცია ეკავათ და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, მაშინ როდესაც შ. და გ. გოგელიები ნიჰილიზმის პოზიციაზე იდგნენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველი ანარქისტების იდეალი ანარქიული კომუნიზმი იყო.

საერთოდ, ანარქისტები მომავლის საზოგადოების აშენებას ორგანიზებული პოლიტიკური ბრძოლის გარეშე ფიქრობდნენ. ბრძოლის ტაქტიკად გამოცხადებული ჰქონდათ პირდაპირი აქცია.

დღეს ანარქიზმი მტრულად არის განწყობილი კომუნისტური მოძრაობისადმი. მარქსიზმი ებრძოდა და ებრძვის ანარქისტულ იდეოლოგიას.

ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან გარკვეულად გამოცოცხლდა ანარქისტული იდეები.

უნდა გავარჩიოთ ანარქიზმი ანარქიისაგან. ეს უკანასკნელი არის საზოგადოების მდგომარეობა.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ანარქიზმის იდეებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა და დღესაც საკმაოდ პოპულარულია მისი იდეები.

**ნოდარ კერესელიძე**

# იმპერიის უკანასკნელი ხელმწიფე

**დასასრული**

გარემოებასაც კი, რომ გორბაჩოვი ემყარება არმიისა და სუკის მხარდაჭერას, იმ ინსტიტუტების მხარდაჭერას, რომლებიც პირველ რიგში არიან გარდაქმნების მოწინააღმდეგე, მიაწერენ მის ტაქტიკურ მანევრებს, რომლებიც დიდად არ განსხვავდება სხვა ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ჩვეულებრივი ძიძგილაობებისგან.

დასავლეთის ყველაზე დიდი შეცდომა აღმოჩნდა ის, რომ მან სწორად ვერ განსაზღვრა საბჭოთა ლიდერის რეალური მიზნები, გამოდიოდა რა დასავლეთის პოლიტიკური აზროვნებისა და გამოცდილებიდან და არ ითვალისწინებდა რა საბჭოთა სინამდვილეს. ამავე დროს, პრეზიდენტ გორბაჩოვის მხარდამჭერები დასავლეთში არასდროს არ დაინტერესებულან თუ რატომ იყო მათი გმირი უფრო პოპულარული საზღვარგარეთ, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. მათ საბჭოთა ლიდერის იდეოლოგიური ტერმინოლოგიაც კი აითვისეს და ისინი, ვისაც სურს მკაცრი კომუნისტური კონტროლის შენარჩუნება, „მემარჯვენეებად" მონათლეს, ხოლო ბატონი გორბაჩოვი, როგორც ჩანს, „მემარცხენეს" წარმოადგენს. ეს უცნაური ინვერსიაც, დიქტატურას მემარჯვენე ფრთასთან რომ აიგივებს, უდავოდ მისი მტკიცებების ლეგიტიმაციას უწყობს ხელს, რომლის მიხედვითაც თავისუფლების მოპოვება შეიძლება იმ სისტემის პირობებში, გორბაჩოვს რომ უნდა კვლავ „სოციალიზმი" უწოდოს. დასავლეთის საზოგადოებას ჩვეულებრივ მიაჩნია, რომ უდიდესი სიძნელეები შეიძლება დაიძლიოს მოთმინებით, ზომიერებითა და გონივრულობით. საგარეო პოლიტიკაში მიხეილ გორბაჩოვმა გამოამჟღავნა ყველა ეს თვისება და ამით შექმნა შთაბეჭდილება, რომ მისი ქვეყნის საშინაო პრობლემებიც ასევე მშვიდობიანი გზით მოგვარდებოდა, მაგრამ ეს იმ იმპერიის ისტორიულ გამოცდილებას წააგავს, რომლისლიდერები ხელმძღვანელობენ ხმლით, ხმალი კი შიშს თესს და არა სიყვარულს. ზუსტად ისევე როგორც დღეს, იმპერიის პოლიტიკური ლიბერალიზაციის მონაკვეთები წარმოიშვებოდა ღრმა ნაციონალური კრიზისის შედეგად, რაც იგივე წმინდა წყლის ქაოსია.

საშუალო კლასებისათვის დამახასიათებელი სულისკვეთება, რომლის წყალობითაც დასავლეთში კომპრომისებისა და ზომიერების დაცვას უმაღლესი ღირებულება ენიჭება, ჯერ კიდევ არ არსებობს სსრკ-ში. და ქვეყნის მრავალეროვნულობა, ძალაუფლების გადანაწილების ყოველ ცდას უმალვე თვითგამორკვევისათვის ბრძოლად აქცევს. ნებისმიერი პოლიტიკური კამათი ოპონენტებს შორის იქცევა გლადიატორთა შერკინებად, რომლებმაც იციან, რომ წინ ან სიკვდილია ან გამარჯვება. პრეზიდენტ გორბაჩოვის ექსპერიმენტი ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ ხალხის დაყოლიება და მართვა შეიძლება ზევიდან. ეს არ გამართლდა, შეიძლება იმიტომაც, რომ შექმნილმა ოპოზიციამ არ სცნო ამ თამაშის წესები. ვერავითარი გონივრული დიალოგი ვერ შედგა.

ძალისმიერი მმართველობის, როგორც სოციალური კონტროლის იარაღის, აღდგენამ მხოლოდ ისინი გააკვირვა, ვინც ჯიუტად გაიძახოდნენ, რომ იცოდნენ თუ რა „რეალური" გეგმები ჰქონდა ბატონ გორბაჩოვს. საბჭოთა ლიდერს არასდროს უთქვამს, რომ მას კომუნისტური წყობის დემონტაჟი სურდა; პირიქით, ის ლაპარაკობდა ლენინური „სიწმინდისკენ" მიბრუნებაზე, ლაპარაკობდა ლენინური სისტემის სრულყოფაზე. არც მრავალპარტიული დემოკრატია სურდა. დაბოლოს, არასდროს უშვებდა იმ აზრს, რომ რომელიმე ერი მისი იმპერიის ფარგლებში განზე გაიწევდა და ისეთ რამეს გაბედავდა, რაც კრემლთან არ იყო შეთანხმებული.

და მაინც, ბატონი გორბაჩოვის მხარდამჭერებს დასავლეთში კვლავაც ჰქონდათ საბჭოთა ლიდერის გონიერების იმედი. მათი აზრით გორბაჩოვი ნამდვილად მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ ძალის გამოყენება უკუშედეგების მომტანია და რომ დემოკრატია ეკონომიკური აყვავების აუცილებელი წინაპირობაა. შესაძლებელია, თავადაც ხვდებოდეს ამას, მაგრამ ისტორიამ განა ცოტა იცის მაგალითები, როდესაც იმპერიები მედგრად მიაბიჯებენ თავიანთი აღსასრულისაკენ ბოლო წუთს გადარჩენის იმედით. ათეული წლობით უწინასწარმეტყველებდნენ ავსტრია-უნგრეთის ლიდერებს მათი იმპერიის დეზინტეგრაციას. ისინი კი თამაშობდნენ პოლიტიკურ ლიბერალიზმს, მართავდნენ ნახევრად ყალბ არჩევნებს, ვითომ კომპრომისებსაც აღწევდნენ ძირითად ეროვნებებს შორის და მათ ჰქონდათ მხარდაჭერა იმ კონტინენტისა, რომელსაც მათი იმპერიის გარეშე არსებობაც კი ვერ წარმოედგინა, მაგრამ, როდესაც მათ ძალის გამოყენების გზა აირჩიეს, ამით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს თავიანთ იმპერიას. თუ ბატონ გორბაჩოვს კვლავაც შერჩენილი აქვს მთელი თავისი სამფლობელოების შენარჩუნების სურვილი, ეს მხოლოდ და მხოლოდ ტანკებით შეიძლება განხორციელდეს.

დასავლეთის ლიდერები შუბლს იჭმუხნიან, როდესაც ლაპარაკი ისტორიულ გარდუვალობაზე, რადგან ამ შემთხვევაში სალი აზრის მნიშვნელობა მინიმუმამდე დადის. ამიტომ, ისინი ურჩევენ პრეზიდენტ გორბაჩოვს ქვეყნის შიგნით შექმნას ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციალური დიალოგების გამართვას. მაგრამ დემოკრატია განა მხოლოდ საარჩევნო ყუთები, არჩევნები, ან თუნდაც პოლიტიკურ პარტიათა სიმრავლეა. ეს დემოკრატიის ტექნიკური მხარეა. დემოკრატია შეიძლება თვით პოლიტიკური სისტემა კი არ იყოს, არამედ უფრო ცხოვრების ყაიდა, რომელიც ეფუძნება მიღებულ სოციალურ შეთანხმებებს, ურთიერთპატივისცემას, ზომიერებას და იმის აღიარებას, რომ არავინ არ არის საყოველთაო ჭეშმარიტების მფლობელი. აი, სწორედ ეს არის ის, რაც საბჭოთა კავშირს აკლია.

მიუხედავად იმისა, თუ რას გულისხმობდა ბატონი გორბაჩოვი თავისი „დემოკრატიზაციით", შედეგი ნაციონალისტური მოძრაობები გახლდათ. ნაციონალიზმი ისევ ძლიერია საბჭოთა კავშირში, რადგან იგი ხალხებს სთავაზობს ახალ სოციალურ ხელშეკრულებას ტომობრივი კავშირის სახით. უფრო მეტიც, იგი თავის ხალხებს სთავაზობს ნათელ, ბედნიერ მომავალს, რომელიც ჩვეულებრივ ეფუძნება დიდებულ (ხშირად გამოგონილ) წარსულს. ნაციონალიზმი იღებს ნებისმიერ ეკონომიკურ მოდელს და როგორც ბალკანეთის კომუნისტმა ლიდერებმა უკვე დაამტკიცეს, ერთნაირი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ნებისმიერი იდეოლოგიის მიერ. ის დასავლელი პოლიტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ გორბაჩოვი გადაარჩენს თავის იმპერიას პოლიტიკური ინსტიტუტების შეკეთებით, მცდარნი აღმოჩნდებიან. იმის მტკიცება, რომ რესპუბლიკები შეიძლება აიძულო დარჩნენ კავშირში, იმიტომ რომ ისინი ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებულნი არიან, იგივეა, რომ აღრიო რაციონალური ანგარიშები ემოციებთან.

ბატონი გორბაჩოვის დასავლელ მხარდამჭერთა დიდად შეთხელებულმა ჯგუფმა, რომელთაც ხელში მხოლოდ ილუზიები და მცდარი მტკიცებები შერჩათ, დაიწყეს თავიანთი არგუმენტების შეცვლა. ისინი აღარ ასხამენ ხოტბას საბჭოთა ლიდერს, როგორც დემოკრატიის ჰეროლდს, სამაგიეროდ მათ აღმოაჩინეს რეალისტი პოლიტიკოსი. ბატონი გორბაჩოვი შეუცვლელია. იგი დასავლეთს კარგად ემსახურა წარსულში და, ალბათ, მომავალშიც ასევე გააგრძელებს. ასე რომ, ისინი კითხულობენ, იქნება ათუ არა ჩვენი ინტერესებისათვის ხელსაყრელი საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესისათვის ხელშეწყობა. თუ ისევ „შეჩვეული ჭირი სჯობს?"

ეს მოჩვენებითად რეალისტური მტკიცებანი სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ემოციათა სფეროს განეკუთვნება და ღრმად მცდარია. მადლიერება წარსული საქმეებისათვის სჯობს წარსულს ჩავაბაროთ და არ გავავრცელოთ იმ ქმედებებზე, რაც დაკავშირებულია დღევანდელი საგარეო პოლიტიკის ყოველდღიურობასთან. საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ისეთ მდგომარეობაშია, რომ არანაირი კაპიტალი არ მოგვცემს ოდნავ შესამჩნევ ეფექტსაც კი წლების მანძილზე. არც ის არის ნათელი, რომ დასავლეთის მხარდაჭერა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პრეზიდენტ გორბაჩოვის ქცევაზე. იმ დროს, როდესაც იგი ყოველნაირად ცდილობს კარგი ურთიერთობა ჰქონდეს დასავლეთთან, ტანკები შედიან ბალტიის რესპუბლიკებში და ეს ხდება მაშინ, როდესაც ევროპამ უზარმაზარი თანხა შეაგროვა საბჭოთა კავშირის დასახმარებლად. დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ არც ერთი ნათელი გონების ადამიანი არ იტყვის, რომ დასავლეთმა ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა იმპერიის რღვევას. არ შეიძლება მშვიდად ვუყუროთ ატომური იარაღის მფლობელი ზესახელმწიფოს რღვევას. ეს რთული პრობლემაა. მაგრამ საბჭოთა იმპერია დაირღვევა უფრო ადრე, ვიდრე ჰგონიათ. ნაცვლად იმისა, რომ იქცნენ მათი სურვილის ტყვეებად, დასავლეთმა უნდა იფიქროს და შეიმუშაოს გეგმა იმ მიმართულებით, თუ რა ურთიერთობას დაამყარებს დაშლილ საბჭოთა კავშირთან. ეს ხრ ნიშნავს ბატონი გორბაჩოვის იგნორირებას, მაგრამ ჩვენ ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ადამიანი არის განწირული იმპერიის უკანასკნელი ხელმწიფე და მისმა ერთგულებმა შეიძლება იტვირთონ პასუხისმგებლობა მოსალოდნელი უბედურების შემთხვევაში.

დაე, ბ-ნი გორბაჩოვის პიროვნებამ მუდამ დააფიქროს ხალხი იმაზე, თუ რა ზღვარია იმედებსა და სინამდვილეს შორის.

„ინდეფენდენთ"

# ვახტანგ გორგასალი



„ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ გორგასალს, ქართლის (იბერიის) მეათე ქრისტიან ხელმწიფეს (V ს. 40-იანი წლები — 502 წ.) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. მატიანეში მას ცალკე წიგნი ეძღვნება — ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“, რომელიც მეფე ვახტანგის აპოლოგიას, მხატვრულ-ისტორიულ თხზულებას წარმოადგენს.

ჯუანშერის გადმოცემით, როდესაც მირდატ მეფე (მირდატ V) გარდაიცვალა, „დარჩა ვახტანგ შვიდის წლის ყრმა“. დედოფალი საგდუხტი „...შთავარდა მწუხარებასა შინა დიდსა, ევედრებოდა ღმერთსა და განიზრახა წარსვლა მამისა მისისა და მევრდომა მისი“, რადგან ეშინოდა, რომ სპარსელები მისი მამის, რანის და მოვაკანის ერისთავის, ბარზაბოდის მეთაურობით მეფის კარეში დარჩენილ ქვეყანას თავს დაესხმოდნენ და ააოხრებდნენ. საგდუხტი მამას მუხლებში ჩაუვარდა....

ბარზაბოდმა, რომელიც მზად იყო „ბოროტის ყოფად ქართველთათვის“, შეიწყალა ასული, „აღასრულნა ყოველი თხოვა მისი“. ქალიშვილს პირობა მისცა, რომ ქართველებს ცეცხლთაყვანისმცემლობაზე ძალით აღარ მოაქცევდნენ, მაგრამ თუ ვინმე საკუთარი ნებით მოისურვებდა, ქართველებს ხელი არ უნდა შეეშალათ. „ბარზაბოდ წარმოგზავნნა ცეცხლის-მსახურნი, მცხეთას და მათ ზედა ებისკოპოზად შინქარან. და საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობასა ძალითა მამისა მისისათა“. ბარზაბოდის გარდაცვალების შემდეგ რანისა და მოვაკანის ერისთავი გახდა მისი შვილი, ვარაზ-ბაქარი. „და მოკუდა საურმაგ სპასპეტი, მამამძუძე ვახტანგისი“. ახალ სპასპეტად ჯონბერი დაადგინეს. ქართლში სპარსელები მძლავრობდნენ, შინქარანი ავრცელებდა მაზდეანობას, „და შეერია ქართლს წურილსა ერსა ცეცხლის-მსახურება“. ამისთვის როგორმე ხელი რომ შეეშალა, დედოფალმა საგდუხტმა ბიზანტიიდან ჩამოიყვანა „მღდელი ჭეშმარიტი... მიქაელ, და დაადგინა იგი ებისკოპოზად... მიქაელ წინაალუდგა შინქარან მაცთურსა, რამეთუ ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჭეშმარიტსა“.

როდესაც ვახტანგი ათი წლისა შესრულდა, „გადმოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი...“ ოსებმა ქვეყანა სასტიკად მოაოხრეს, ტყვედ წაიგდეს ვახტანგის და გურანდუხტი, „სამი წლის ქალი“ და უკან ოსეთში აბრუნდნენ. ამის მერე ქართლის სამეფოს ბიზანტიამაც შემოუტია, „გადმოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით... დაიპყრეს ეგრის-წყლითგან, ვიდრე ციხე გოჯამდე“. იწყეს ქართველებმა „გლოვა და წუხილი“.

„და ვახტანგ იზარდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ებისკოპოზისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა“.

როდესაც ვახტანგი თხუთმეტი წლისა შესრულდა, „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქად“. ახალგაზრდა მეფემ, „ვითარცა მოხუცებულმან ბრძენმან“ მიმართა დიდებულებს, აუწყა, რომ ის განსაცდელი, რაც მათზე ტრიალებს, მათი ცოდვების გამოა მოწეული, მაგრამ ღმერთი კი არ სჯის ამით, არამედ წვრთნის, ვითარცა შვილებს „ჰგუემს მამა იგი გუემითა და სწავლითა, რათა ისწავოს ყოველი კეთილი და იქმნას საზმარ-კეთილ“. შემდეგ ვახტანგ მეფემ ბრძანა — „სიკუდილი სჯობს თავთა ჩვენთათუის“ იმის დათმენას, რაც „მოწევნულ არს ჩუენ ზედა“ ოსებისაგან, რომ უნდა ელაშქრათ ოსეთში. ჯონბერ სპასპეტმა მიუგო, — „აწ, მეფეო, დაღათუ სრულ ხარ სიბრძნითა, ძალითა, სიმხნითა და ასაკითა, არამედ გაკლის სისრულე დღეთა მხედრობისათჳის... დაღაცათუ ყრმა ხარ...“ მაგრამ ვახტანგ მეფემ გადაჭრით განაცხადა, ლაშქრის წინამძღოლი თვითონ იქნებოდა — „...სიყვარული დისა ჩემისა განლევს გულსა ჩემსა, ვითარცა მახჳლი ცეცხლისა, და სიკუდილი მირჩევნია თავისა ჩემისა, ვიდრელა სირცხჳილი; არამედ მინდობითა ღმრთისათა და წინამძღუარებითა ჯუარისა მის პატიოსნისათა, თავითა ჩემითა წარვალ, და ვესავ მრავალ-მოწყალებათა მისთა — არა გამწიროს და მომცეს ძალა“. ვეღარავინ დაუშალა მეფეს განზრახვა, ლაშქრობა დაამტკიცეს და მზადებას შეუდგნენ. „ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისათა... და იყო ასი ათასი მხედარი და სამოცი ათასი ქუეითი“. ვახტანგ მეფე „აღივსო სიხარულითა და მადლობდა ღმრთისა...“

ქართველთა ლაშქარი ჩრდილოეთ კავკასიისკენ დაიძრა. ამ დროს ვახტანგ მეფე თექვსმეტი წლისა იყო. ოსებმა შეიტყვეს ქართველთა მოახლოება, „მოირთეს ძალი ხაზარეთით და მიეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა...“ მოწინააღმდეგეები მდინარის ნაპირებზე დაბანაკდნენ. შვიდი დღის განმავლობაში იმართებოდა ორთაბრძოლები, რჩეული ქართველი და ოსი მეომრები ერთმანეთს ერკინებოდნენ. გამოვიდა ოსებისგან „კაცი ერთი გოლიათი, სახელით თარხან“ და ქართველთაგან უძლიერესი იხმო საბრძოლველად. გავიდა ფარზმან-ფარუჯ, რომელსაც „მრავალი ლომი ხელითა შეეპყრა“. შეიბნენ ქართველი და ოსი, იმარჯვა თარხანმა, „განაპო ზურგი მისი ვიდრე ბეჭთამდე“. შეძრწუნდნენ ქართველები, „ვახტანგ შევიდა კარვად თჳისად, დადგა ლოცვად. ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა, და მინდობითა ღმრთისათა ეგულებოდა თჳით ბრძოლა თარხანისი: რამეთუ უშიშ იყო, ვითარცა უხორცო...“

ქართველი დიდებულები ვახტანგს საბრძოლველად არასგზით არ უშვებდნენ, მაგრამ მეფემ არ დაიშალა, მეომრები აქეთ გაამხნევა, „ევედრებოდით ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით“, ცხენზე შეჯდა და მტერს მიეახლა. თარხანმა იუკადრისა, „გარნა შენზედაც დავიმდაბლო თავი ჩემი“-ო, „გმირთა გამოცდილთა მბრძოლი ვარ“-ო, მაგრამ პირველივე შერკინებისას „სცნა ვახტანგ ოროლნი“, საჭურველი გაუპო და მოკლა.

მეორე დღეს ვახტანგ მეფე ბრძოლაში გამოიწვია ბაყათარმა, ოსმა გოლიათმა — „იყო სიგრძე მჴუილდისა მისისა თორმეტი მტკაველი და ისარი მისი — ექუსი მტკაველი“. ბაყათარმა უკადრისი სიტყვებით მიმართა ვახტანგ მეფეს, „გარდავლო მდინარე და უწყო სროლა ისრითა. მაშინ ვახტანგ სიფიცხლითა თუალთათა და სიმახჳილითა გონებისათა და სიკვკასითა ჰანგისა მისისათა რიდებდა ისარსა, რამეთუ შორსვე იხილის ისარი მომავალი, უხლდებოდა და სიმარჯუითა ძიახლდებოდა“, მხოლოდ ორი ისარი მოხვდა ვახტანგის ფარს, მაგრამ შემდეგ ვახტანგის ცხენი დაიჭრა. სანამ ცხენი დაეცემოდა, ვახტანგი ბაყათართან მიიჭრა, მხარში ხმალი ჰკრა, „და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე“. ვახტანგ მეფემ „შეიპყრა ცხენი ბაყათარისი“, ღმერთს მადლობა შესწირა, თავის ლაშქარს მიუახლოვდა, „რქუა ხმითა მაღლითა: „მხნე იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს“. ქართველები შეტევაზე გადავიდნენ, ოსებმა „დაასხეს ისარი, ვითარცა წუიმა მძაფრი“. ვახტანგ მეფე ჯარს წინ მიუძღოდა, „იქმნა ბრძოლა ძლიერი... მაშინ იძლივნეს ოვსნი და ივლტოდეს...“ გაქცეული ოსების უმრავლესობა ქართველებმა ცოცხლად შეიპყრეს... ოსებმა ვახტანგის დის სანაცვლოდ ოცდაათი ათასი ტყვე ითხოვეს, ვახტანგ მეფემ მისცა და გურანდუხტი გამოიხსნა.

ოსეთში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ვახტანგ მეფემ აფხაზეთში ილაშქრა ბიზანტიელების წინააღმდეგ, კვლავ გამარჯვება იზეიმა და მცხეთას მობრუნდა. მთელი ქალაქი მიეგება ძლევამოსილ ხელმწიფეს, ყველა ადიდებდა, „რამეთუ არა რომელსა ექმნა მეფესა ეგევითარი ძლიერი წყობა“. ვახტანგ მეფემ ღმერთს მადლობა შესწირა „მრავლითა ლოცვითა და ღამისთევითა“, დაასაჩუქრა ყოველი, ვინც ბრძოლაში თავი გამოიჩინა, გლახაკებს უწყალობა დიდძალი განძი.

ვახტანგ მეფემ ირანის შაჰს ძღვენი გაუგზავნა და ქალიშვილის ხელი სთხოვა. „ხოლო სპარსთა მეფემან მისცა ასული მისი ცოლად, რომელსა ერქუა ბალენდუხტ“. ოცდაორი წლის ვახტანგი „იყო უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა და უშუენიერეს სხუათა, და ძლიერი ძალითა, რომელ ჰურვილი ქუეითი ირემსა მიეწიის და დაიჭირის, ცხენი ჰურვილი აღილის მხართა ზედა და მცხეთით ალვიდის ციხესა არმაზისსა“.

შემდეგ მემატიანე ბიზანტიის წინააღმდეგ ვახტანგ მეფის მიერ სპარსელებთან ერთად წარმოებულ ბრძოლებს აღწერს — „წარემართა ვახტანგ მეფე საბერძნეთად“. საომარი მოქმედებები ჯერ სომხეთის, შემდეგ კი პონტოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. „...და მიუწია ლაშქარმან ვიდრე ქალაქისა მის კონსტანტინისა. ხოლო სპარსნი რომელთა ჰპოვებდეს ეკლესიისა მსახურსა, ჰკლვიდეს“. ვახტანგ მეფემ მოკავშირეებს სამღვდელოების დევნა-შევიწროება აუკრძალა, „ჩვენცა ვართ სჯულსა ზედა ბერძენთასა ალმასრულებელ ქრისტესსა, რომელ არს ღმერთი ჭეშმარიტი ყოველთა“.

ვახტანგ მეფემ მრავალი სამღვდელო პირი იხსნა სიკვდილისაგან, ხოლო ორი მათგანი, პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი, დაიახლოვა, თავისთან დატოვა. მათაც ვახტანგ მეფეს რჩევა მისცეს, კეისართან მეგობრობა აღედგინა, ეს იქნებოდა ჭეშმარიტი ღვთისნიერება. ვახტანგ მეფემ ნიშანი ითხოვა...

მართლაც, ღამით ვახტანგ მეფეს ხილვა ჰქონდა — „აჰა მოვიდა დედაკაცი იგი, რომელ იყო წმიდა ნინო“... იხილა კეისარი, იხილა პეტრე და სამოელი, „იხილა ჯუარი, რომელსა ფრთეთა ზედა მისთა აქუნდა გჳრგჳნი და უმეტეს ხილვამან ჯუარისამან დასცა შეძრწუნებული“.... კეისარმა ვახტანგს გვირგვინი დაადგა, ვახტანგმა გაიგონა „ვახტანგ, ვახტანგ! უმეტეს მორწმუნე იყო შენ ყოველთა შორის ნათესავთა სპარსთასა; მეორედ, შენგან აღეშენნენ ეკლესიანი და განეწესნენ ებისკოპოზნი და ებისკოპოზთ-მთავარნი; მესამედ, გჳრგჳნიცა წამებისა მიიღო“.

სასწაულებრივი ჩვენების შემდეგ ვახტანგ მეფემ პეტრე მღვდელი კეისართან გაგზავნა, ხოლო მასთან მყოფი სპარსელები კი დაარწმუნა, რომ აუცილებლად უკან უნდა დაეხიათ, რადგან ბიზანტიელებისაგან ალყაში მოქცევის საშიშროება არსებობდა „აღიყარა ლაშქარი... და ვლეს ხუთისა დღისა სავალი სომხეთით კერძო“. როდესაც კეისარმა ვახტანგის გადაწყვეტილება გაიგო, „განიხარა... ფრიად“, შესთავაზა სპარსელები მოტყუებით ამოეწყვიტათ, მაგრამ ვახტანგ მეფემ უარი შეუთვალა — „რომელი არა შუენის შენსა ღმრთისმოყუარებასა, რომელი არა ჰყოთ, სხუასა ნუ აწუევ, რამეთუ ღალატობა არა ხელი არს კაცთა პატიოსანთა. დაღათუ შენ მიგცნე სპარსნი, არა უკუნისამდე განცრუვნეს სახელი ჩემი“. მაგრამ მოვიდა ვახტანგ მეფის დედის ძმა, ერისთავი სპარსთა, ვარაზ-ბაქარი, „რისხვით რქუა ვახტანგს: „ჰეი, გუელო და ნაშობო ასპიტისაო... გნებავს შეყენება ჩუენი ხელსა ბერძენთასა“. გაიმართა ბრძოლა, „და იძლია ბანაკი აღმოსავლეთისა“. ვარაზ-ბაქარი ბრძოლაში მოკლეს, სპარსელები დამარცხდნენ.

დაბრუნდა ვახტანგ მეფე მცხეთას, მალე ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინა, მაგრამ დედა, სპარსეთის მეფის ასული, მშობიარობას გადაჰყვა. მემკვიდრეს სახელად დაჩი უწოდეს.

ვახტანგ მეფე სპარსელების ახალ შემოსევას მოელოდა, ციხე-ქალაქებს ამაგრებდა, საბრძოლველად ემზადებოდა, „მაშინ შეაგდო საპყრობილესა შინა ბინქარან მაცთური, ებისკოპოზი ცეცხლის-მსახურთა და მოსრნა ყოველნი მსახურნი ცეცხლისანი საზღვართაგან ქართლისათა“. მართლაც, საქართველოში სპარსელთა ლაშქარი შემოიჭრა, მცხეთას მოადგა. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი და გამოესუა წინა მგელი და უკანათ ლომი... სპარსნი ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქჳიან: „დურ აზ გურგასლან“, რომელიც არს: „მირიდეთ თავსა მგელისასა“. და მის მიერ სახელ ედვა ვახტანგ მეფესა გურგასლან“. ბრძოლა ოთხი დღე გაგრძელდა. მეოთხე დღეს ცნობილი გახდა, რომ კეისრის მიერ ვახტანგ მეფის დასახმარებლად გამოგზავნილი ლაშქარი საქართველოში შემოვიდა. სპარსთა მეფემ ვახტანგს დაზავება შესთავაზა... ვახტანგ მეფემ კეისრის ასული ელენე ცოლად შეირთო, თავისი ერთი და, გურანდუხტი, სპარსეთის მეფეს მიათხოვა, მეორე, ხუარანძე — სომხეთის პიტიახშ ბაკურს.

„...წარვიდეს ვახტანგ და დედა და და მისი იერუსალიმს... შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა და მოილოცნეს ყოველნი ადგილნი წმიდანი...“

შემდეგ ჯუანშერი ვრცლად მოგვითხრობს იმ ბრძოლების შესახებ, რომლებიც ვახტანგ გორგასალმა სპარსეთის მეფის ბრძანებით „ინდოთა, სინდელთა და აბაშთა“ წინააღმდეგ გადაიხადა.

როდესაც ვახტანგ მეფე ქართლში დაბრუნდა, ბიზანტიაში მოციქულები გაგზავნა, რომ პეტრე კათალიკოზად და სამოელი ეპისკოპოსად ჩამოეყვანათ. მიქაელ მთავარეპისკოპოსმა შეიტყო რა, რომ ვახტანგ გორგასალი ქართლში კათალიკოსობის შემოღებას აპირებდა, განრისხდა, დაიწყო მეფის [illegible] ნებდა, რათა მფოთითა დააცადოს საქმე იგი და მოსულა მათი, კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი“, მეფეს ქრისტეს სჯულის დატოვება დააბრალა. „ხოლო მეფემან რქუა: დაღაცათუ უბრალო ვართ, სიმდაბლე ჯერ არს ჩუენგან. და მივიდა მეფე... რათა შეემთხჳია ფერხთა ებისკოპოზისათა, და განჰყარა ფერხი ებისკოპოზმან და მიამთხჳია პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი“. ვახტანგ გორგასალმა მიქაელ მთავარეპისკოპოზი კონსტანტინოპოლში გააგზავნა, რათა პატრიარქს განეკითხა. „და ექსორია ყვეს მიქაელ“...

ქართლში კათალიკოსობა დადგინდა, ბიზანტიიდან 12 ეპისკოპოსი ჩამოიყვანეს, ახალი საეპისკოპოსოები დააარსეს. „ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტიცხოველი... შემდგომად ამისა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა და დასუა ებისკოპოზი...“

ვახტანგ გორგასალს ელენე დედოფლისგან სამი ძე და ორი ასული შეეძინა. მემკვიდრე დაჩი ხუთი წლის იყო, როდესაც ვახტანგ მეფემ გვირგვინი დაადგა, მისცა „ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლეთით“.

ვახტანგ გორგასალმა ის იყო თბილისის მშენებლობა დაიწყო — „აშენებნ ქალაქსა ტფილისის, საფუძველი ოდენ დაედვა“ — რომ სპარსელები კვლავ შემოიჭრნენ საქართველოში.

„და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი და ჭერამისა ციხე. და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა“. ბრძოლა მდინარის პირას გაიმართა, სამ დღეს გაგრძელდა. „მაშინ ვახტანგ მოუწოდა პეტრე კათალიკოზსა და თქუა: „არლაცა ხარკისა მიცემისათუის გუბრძვანან, არამედ ქრისტეს დატეობისათუის, მე ესე განმიზრახავს რამეთუ ცხოვრებასა სიკუდილი უმჯობეს არს სახელსა ზედა ქრისტესსა, რათა სასუფეველი გუაქუნდეს აღთქმულთა მისთა, რომელსაც იტყჳს: „რომელმან წარიწყმოდოს თავი თჳისი ჩემთჳს, მან პოვოს იგი“.

გარიჟრაჟზე ქართველები მტრის ბანაკს თავს დაესხნენ. ვახტანგ მეფემ ბრძოლით გაიკვლია გზა სპარსეთის მეფის კარვამდე, შიგ შეიჭრა, მოკლა შაჰის ვაჟი, ბარტამი, „და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა“. ბრძოლა შუადღემდე გაგრძელდა, ქართველებმა გაიმარჯვეს, „მაგრამ დამძიმდა წყლულება ვახტანგისი... და წარვიდა უჯარმას“. სპარსელებმა ეს რომ გაიგეს, „მოაოხრეს ტფილისი ქალაქი და არმაზი ქართლი“, მაგრამ მცხეთა ვერ აიღეს.

ვახტანგ გორგასალმა იგრძნო სიკვდილის მოახლოება, „მოუწოდა კათალიკოზსა და ცოლსა თჳსსა და ძეთა და ყოველთა წარჩინებულთა, და თქუა: „მე ესერა წარვალ წინაშე ღმრთისა ჩემისა და ვმადლობ სახელსა მისსა, რომელმაც არა დამაკლო წმიდათა მისთა. აწ გამცნებ თქუენ, რათა მტკიცედ სდგეთ სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდეთ ქრისტესთჳის სიკუდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“.

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებამ სამეფო შესძრა — „მაშინ იყო დღე სასჯელისა წარჩინებულთა და ყოველსა ერსა ზედა, და იტყებდეს ყოველნი და ისხმოდეს ნაცარსა თავთა ზედა მათთა, და ინატრიდეს სიკუდილსა თავისა თჳისისასა და ხმისაგან ტირილისა და გოდებისა იძრვოდა ქუეყანა და მორწმუნე ერი ჰნატრიდა მეფესა, რამეთუ ქრისტესთჳის მოიკლა ვახტანგ და დაეფლა მცხეთას საკათალიკოზოსა სუეტსა თანა, რომელსა შინა არს ღმრთივ-აღმართებულისა სუეტისაგან დაპყრობით“.

„და დაჯდა მეფედ ძე მისი დაჩი...“

მოამზადა
**ირაკლი ლომოურმა**

**ლევან ჭოლოშვილის** ნახატი


**„ივერთბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ!**

„ივერთბანკის“ აქციების გაცემა იწარმოებს მიმდინარე წლის 1 ივლისიდან. გთხოვთ თან იქონიოთ გაფორმებული ხელშეკრულება და პასპორტი. შეგახსენებთ, რომ როგორც პრივილეგირებულ, ასევე ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდი (მოგება) შეადგენს აქციის ღირებულების არანაკლებ 10%-ს.

გთხოვთ მობრძანდეთ. ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ჯორჯიაშვილის ქ. № 14.

აქციების შეძენა შეგიძლიათ აგრეთვე „ივერთბანკის“ ფილიალში ქ. რუსთავში ბალანჩივაძის ქ. № 10.



რედაქტორი მარიკა აგაიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ ჟღენტი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-81-67.

ინდექსი 66421

იბეჭდება ოფსეტური წესით კოტე ხოშტარიას ქუჩა № 20

ფასი 50 კაპ.